ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

დაარსდა 1921 წელს

14 ნოემბერი ხუთშაბათი 1991

№ 129-130-131 (11762-63-64)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 30 კაპ.


## გაეროს გენერალურ მდივანს, ბატონ ხავიერ პერეს დე კუელიარს მსოფლიოს ხალხებსა და პარლამენტებს

დაშლის პირამდე მისული იმპერია ამაოდ ცდილობს ყოველი ხერხით შეაჩეროს მამაცი და თავისუფლებისმოყვარე კავკასიელი ხალხების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. ამ წლის 27 აპრილს ჩვენ მოგმართეთ თქვენ, რომ მზადდებოდა სისხლიანი პროვოკაციები კავკასიაში. იმპერიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ინტენსიურად ნერგავდნენ აზრს, თითქოს „კავკასიელი ველურები" და „ტუზემცები" ცენტრის ჩარევის გარეშე ამოჟლეტდნენ ერთმანეთს. ამ „მოტივით" როგორც საქართველოში, შიდა ქართლში (ყოფილ „სამხრეთ ოსეთში"), ისე ჩეჩნეთ-ინგუშეთში უხეში სამხედრო ძალის გამოყენებით ხდება მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება. დღეს დილით ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში, სადაც უნდა მომხდარიყო საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული ჩეჩნეთის პრეზიდენტის ბატონ ჯოჰარ დუდაევის ინაგურაცია, იმპერიის სამხედრო ძალები თავს დაესხნენ ჩეჩენ პატრიოტებს. მოსალოდნელია სისხლისღვრა. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ჭიდილები გრძელდება, ხდება ახალი სამხედრო შენაერთების შეყვანა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე. მზადდება იმ თავისუფლებისმოყვარე და ვაჟკაცი ხალხის გენოციდი, რომლის მიმართაც ჯერ ცარისტულმა, ხოლო შემდეგ ბოლშევიკურმა იმპერიამ უკვე ორჯერ (1878 და 1944 წლებში) განახორციელა მასობრივი რეპრესიები, რის შედეგადაც [illegible] ჩეჩენი იქნა ფიზიკურად მოსპობილი და იძულებით გასახლებული სამშობლოდან.

მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია პოლიტიკური საკითხების უხეში სამხედრო ძალის გამოყენებით გადაწყვეტა. ნებისმიერი სადავო საკითხი უნდა წყდებოდეს მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით. იმედი გვაქვს, რომ გაერო, მსოფლიოს ხალხები და პარლამენტები გულთან ახლოს მიიტანენ მცირერიცხოვანი ჩეჩენი ხალხის ტრაგედიას და ხმას აღიმაღლებენ სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ. ჩვენი აზრით, უხეშად ითელება როგორც ჩეჩენთა, ისე ქართველთა ეროვნული უფლებები (ვგულისხმობთ ყოფილ „სამხრეთ ოსეთს"). ამიტომ მოვითხოვთ გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის ექსპერტთა და მეთვალყურეთა ჯგუფის სასწრაფოდ ჩამოსვლას, რათა ადგილზე (ქ. გროზნოსა და შიდა ქართლში) შეისწავლონ შექმნილი მძიმე მდგომარეობა და ხელი შეუწყონ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი 1991 წლის 9 ნოემბერი.

## წერილი რუსეთის პრეზიდენტს

პატივცემულო ბორის ნიკოლოზის ძევ!

ქართველი ხალხი შეშფოთებით ადევნებს თვალს მოვლენების განვითარებას ჩეჩნეთ-ინგუშეთში. აქ საგანგებო წესებისა და კომენდანტის საათის გამოცხადება ჩვენთვის მოულოდნელი იყო, რადგან ყოველთვის გიცნობდით თქვენ, როგორც ხალხთა თავისუფლების ქომაგსა და დემოკრატიის დამცველს, რაც დაადასტურა თქვენმა ძალისხმევამ ბალტიისპირეთის ხალხების დამოუკიდებლობის მოძრაობის მხარდასაჭერად, რეაქციული საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ახლა მოვლენების ესოდენ მკვეთრი შემობრუნება სინანულს იწვევს. საფრთხე შეექმნა თავისუფლებისმოყვარე ჩეჩენ ხალხს. ძალადობის ესკალაციამ ჩეჩნეთ-ინგუშეთში შეიძლება შეარყიოს თქვენი ავტორიტეტი ყოფილი საბჭოთა იმპერიის ხალხთა თვალში, რომლებიც დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან.

იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ვითარების შემდგომი გამწვავება კავკასიაში, გთხოვთ გააუქმოთ საგანგებო წესები გროზნოში, პატივი სცეთ ჩეჩენი ხალხის ნების გამოხატვას, რომელიც ესწრაფვის თვითგამორკვევასა და თავისუფლებას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისში 1991 წლის 9 ნოემბერს გამართული მრავალათასიანი მიტინგის მონაწილეთა სახელით.

## საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესკონფერენცია

დაახლოებით 20-25 პროცენტს შეიძლება მიაღწიოს უახლოეს ხუთ წელიწადში კერძო სექტორის ხვედრითმა წილმა რესპუბლიკის ეკონომიკაში. — ასეთი პროგნოზი გამოთქვა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბესარიონ გუგუშვილმა 9 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე.

როგორც მან თქვა, სახელმწიფო სფერო თანდათანობით შემცირდება, დარჩება მხოლოდ სტრატეგიული დარგები. ძნელი წარმოსადგენია ისეთი მსხვილი საწარმოების პრივატიზაციაც, როგორიც არის, მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

ტერიტორიული, რაიონული დაყოფა, როგორც ჩანს, ჯერჯერობით დარჩება. საწარმოთა დეცენტრალიზაციის შემდეგ ისინი დაექვემდებარება რაიონულ ხელისუფალთა კონტროლს, რომლებმაც უფრო აქტიური ეკონომიკური პოლიტიკა უნდა განახორციელონ. აქვე უნდა ითქვას, რომ მათი ურთიერთობა ცენტრალურ რესპუბლიკურ სტრუქტურებთან შეწონასწორებულ ხასიათს მიიღებს. მაგალითად, რაიონები მტკიცე ფასებში იღებენ გაზს, ელექტროენერგიას, ახლა კი, თავის მხრივ, იკისრებენ ცენტრისათვის სხვადასხვაგვარი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების გარკვეულ გარანტიებს.

პრემიერ-მინისტრმა უპასუხა ერთ-ერთი კორესპონდენტის კითხვას საქართველოს მიერ ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულების ხელმოწერის პერსპექტივებთან დაკავშირებით. პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ეს საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება. მას სჭირდება გულდასმით გაანალიზება, დაზუსტება, განხილვა მინისტრთა კაბინეტშიც და პარლამენტის სხდომაზეც. მაგრამ უკვე ახლა გამოჩნდა იმ რესპუბლიკების წინააღმდეგობანი, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას. მაგალითად, რუსეთმა თვითნებურად გაზარდა ფასები, რასაც არ შეიძლებოდა არ გამოეწვია პანიკა, სხვა რესპუბლიკების უკმაყოფილება, და, ბოლოს, უნდა განისაზღვროს, გაირკვეს „ხელშეკრულების ასოცირებული მონაწილის" უფლება-მოვალეობანი.

— როგორ განხორციელდება გაისად რესპუბლიკის შინაგან საქმეთა, თავდაცვის სამინისტროების დაფინანსება? — ასეთი იყო მომდევნო კითხვა.

— რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე.

— როდის შემოვა მიმოქცევაში საკუთარი ეროვნული ვალუტა?

— ყველა ღონისძიება ხორციელდება, რომ ეს მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად. სხვათა შორის, მიმოქცევაში ფაქტობრივად იქნება ერთხმად სამი ფულადი ნიშანი: ეროვნული ვალუტა, ამერიკული დოლარი, და პირველ ხანებში — საბჭოთა ფული.

ჟურნალისტებმა მიიღეს პასუხი ბევრ სხვა მათთვის საინტერესო კითხვებზეც.

საქინფორმი.

## ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიშნა

ენვერ ეფრემის ძე ნოჟარაძე საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად.

აკაკი გრიგოლის ძე რეხვიაშვილი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

ალექსი იოსების ძე ტატუნაშვილი დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

## შიმშილობის აქცია გრძელდება

როგორც ცნობილია, 6 ნოემბერს თბილისის კინემატოგრაფისტთა სახლთან საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის 15 წევრმა დაიწყო შიმშილობა. აქცია მიმდინარეობს გიორგი ჭანტურიას სასამართლო პროცესის დანიშვნისა და საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესწავლის მიზნით სპეციალური საერთაშორისო კომისიის დაშვების მოთხოვნით, მოშიმშილეები 12 ნოემბრიდან შეცვალა ახალმა ჯგუფმა. აქცია უკვე ცნობილი მოთხოვნებით კვლავ გრძელდება.

ამასობაში, გიორგი ჭანტურიას საქმე პროკურატურამ განსახილველად უკვე გადასცა მთაწმინდის რაიონის სახალხო სასამართლოს. ეს კი არსებული კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს იმას, რომ სასამართლო პროცესი დაინიშნება არაუგვიანეს ათი დღისა. ეს ითქვა 11 ნოემბერს კინოს სახლთან გამართულ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საინფორმაციო მიტინგზე. აქვე წაიკითხეს გიორგი ჭანტურიას საქმის. გამოძიების მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნა.

გამომსვლელებმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს იმ მორალურ ატმოსფეროს, რომელიც შეიქმნა მოშიმშილეთა მიმართ. მომიტინგეებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ აქციის მიმდინარეობის ექვსი დღის განმავლობაში „წითელი ჯვრის" საზოგადოების გარდა, არც ერთი ოფიციალური სამედიცინო სამსახური არ დაინტერესებულა მოშიმშილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობით.

მიტინგზე გამოცხადდა, რომ 12 ნოემბრიდან თავის შტაბ-ბინაში ასევე შიმშილობის აქციას პოლიტპატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით იწყებენ საქართველოს მონარქისტულ-კონსერვატიული პარტიის წევრები.

მაია ალუდაური,
საქინფორმის კორ.

## როგორ ვიცავთ ადამიანის უფლებებს

როგორც უკვე იცით, პირველ ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის სხდომაზე ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გაანთავისუფლეს ავთანდილ იმნაძე. იმავე დღეს ამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ზაურ ქობალია. ამ ფაქტთან დაკავშირებით დარბაზში ასეთი რეპლიკაც კი გაისმა: ამით ყოფილ პოლიტპატიმრებს ერთმანეთს ხომ არ ვუპირისპირებთო, რაც იმავ წუთს უარყო ყოფილმა თავმჯდომარემ ბატონმა ავთანდილ იმნაძემ.

ამ საჯარო განცხადების მიუხედავად, ბატონ ზაურსაც და ბატონ ავთანდილსაც ვთხოვეთ იმ მოსაზრებების გაზიარების შემდეგ, რაც მათ აქვთ საერთოდ ადამიანის უფლებების დაცვაზე და ამ მხრივ საქართველოში შექმნილ ვითარებაზე, მკითხველისთვის მოკლედ მოეთხროთ თავიანთ პირად ურთიერთდამოკიდებულებაზეც.

იხ. მე-6-7 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიკა

თვალსაზრისი

# პრივატიზაცია ანუ კეისარს კეისრისა

**პრივატიზაციის** პროცესი ფაქტობრივად უკვე დაიწყო. როგორ წარიმართება და რას მოგვიტანს იგი, იქნება სამართლიანობა? აი, უმთავრესი კითხვები, რაც ჩვენს საზოგადოებრიობას აწუხებს...

სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება ანუ სახელმწიფო ქონებაზე ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლების გადასვლა სახელმწიფო ორგანოებიდან ცალკეული მოქალაქის ან მათი გაერთიანებების ხელში არის საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობების ჭეშმარიტად რევოლუციური ცვლილება. აქ შეცდომის დაშვება მიუტევებელია, მით უმეტეს, ამას თვით ისტორია არ გვაპატიებს.

ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად კერძო საკუთრების განსაზოგადოება მოხდა ექსპროპრიაციის უკიდურესად რეაქციული ფორმით — კონფისკაციით. მესაკუთრეებს ქონება ჩამოერთვათ ძალდატანებით, უსასყიდლოდ, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე. ამით შეწყდა წარმოებითი ურთიერთობათა ბუნებრივი განვითარება და ეკონომიკური პროცესები გაუკუღმართებულ გარემოში მოექცა. უკანონო ხელისუფლება უკანონოდ, ძარცვით მიღებული წარმოების საშუალებათა მესაკუთრე გახდა. ამან კი გარდუვალ ეკონომიკურ წინააღმდეგობათა გამწვავებამდე მიგვიყვანა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირზე გამოვლინდა ეკონომიკური და სხვა კრიზისების ფორმით. კრიზისი წარმოების წესის შეცვლით დამთავრდა.

ახალი წარმოების წესის ხელისუფალთა უმთავრესი მისიაა, წარმოების საშუალებები დაუბრუნოს თავის ნამდვილ პატრონს და აღადგინოს შეწყვეტილი წარმოებითი ურთიერთობათა ბუნებრივი განვითარების გზა. მხოლოდ ამ თვალთახედვით უნდა შეფასდეს პრივატიზაციის მიმდინარე პროცესი.

ყოველი კანონის ცხოველუნარიანობას განსაზღვრავს ის, თუ რამდენად ობიექტურად ასახავს ის არსებულ კანონზომიერებათა მოთხოვნებს და თუ რამდენად სამართლიანად ახდენს მის რეალიზაციას ცხოვრებაში.

პრივატიზაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი თუ ობიექტურად ასახავს ეკონომიკურ ურთიერთობათა აღდგენის აუცილებლობას, ამას ვერ ვიტყვით მისი რეალიზაციის სამართლებრივ ფორმებზე. კანონის მეცხრე მუხლით დაშვებულია პრივატიზაციის განხორციელების ორი წესი: კონკურსის ან აუქციონის. პირველი წესი საწარმოზე საკუთრების უფლებას ანიჭებს იმ მყიდველს, რომელიც შესთავაზებს გამყიდველს ყველაზე უკეთეს პირობებს, ხოლო მეორე წესი იმ მყიდველს, ვინც ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს გამყიდველს. პრივატიზებიდან შემოსული სახსრები კი ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების და პრეფექტურების სპეციალურ ანგარიშზე.

**აი, რა გამოდის: კომუნისტური ტოტალიტარული ხელისუფლების მიერ მოსახლეობიდან უსასყიდლოდ ჩამორთმეულ ქონებას ახალი მთავრობა უსასყიდლოდ კი არ უბრუნებს მას, არამედ მამასისხლად კონკურსის და აუქციონის წესით ყიდის მასზე და მიღებულ შემოსავალს საკუთარ ანგარიშზე რიცხავს.**

მოსახლეობა, მშრომელები კი სულ სხვას მოელოდნენ პრივატიზაციისაგან. თუ ყველაფერი მართლა ასე წარიმართა, მაშინ მივიღებთ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების შესახებ მარქსისეული დოქტრინის სახეცვლილებას და სხვა არაფერს; იმ დოქტრინისა, რომლიდანაც წარმოდინდა სწორედ ეკონომიკური უსამართლობის მღვრიე მდინარე და რომელმაც ასე პირწმინდად წალეკა მთელი ნახევარი მსოფლიოს ეკონომიკა.

ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ვირწმუნოთ, რომ უსამართლო ფუნდამენტზე აშენებულ ეკონომიკურ სისტემის სახურავს თავისივე საძირკვლის სიცარიელე ანგრევს.

შეიძლება, ზოგიერთი ოპონენტი წამოგვედაოს იმაში, რომ გასაბჭოების შედეგად ჩამორთმეული წარმოების საშუალებები უკვე დიდი ხნის ამორტიზებულია და მათს პატრონებს არაფერი ეკუთვნით. ასეთი არგუმენტი უსუსურია.

**ჯერ ერთი,** ექსპროპრიაციის შედეგი მარტო წარმოების საშუალებათა ნივთობრივი ჩამორთმევა კი არ იყო, არამედ კერძო მესაკუთრული მეწარმოებრივი ურთიერთობის შეჩერება. ჩვენ იქიდან უნდა გამოვდიოდეთ, რომ მაშინდელი მესაკუთრენი თავიანთი მემკვიდრეებით, რომლებიც ფლობდნენ საწარმოებს, მიწას და ა. შ. დღეს, სხვა ქვეყნების მსგავსად, როგორი კაპიტალისტები იქნებოდნენ. აკი, პრივატიზაციის მეკანონენიც პრივატიზებისათვის განკუთვნილი საწარმოს ფასის განსაზღვრისას გამოდიან საწარმოს სავარაუდო შემოსავლიანობიდან და მოსალოდნელი ამონაგებიდან.

**მეორე,** ისეთ საზოგადოებაში, სადაც სამოცდაათი წლის მანძილზე მშრომელთა ექსპლუატაცია შეუზღუდავად მძვინვარებდა, თავისთავად, მთელი სახელმწიფო საწარმოები, ინფრასტრუქტურა და ა. შ. ძირითადად მაინც მშრომელთა მიერ შექმნილი და მათთვის გადაუხდელი ღირებულების ნაყოფია.

ამიტომ, პრივატიზაციის ჩვენში მიმდინარე პროცესი სოციალური უსამართლობის მნიშვნელოვან ელემენტებს შეიცავს. წარმოების საშუალებებს შეიძენენ ისინი, ვინც წლების განმავლობაში თაღლითობით, მექრთამეობით, თანამდებობათა ბოროტად გამოყენებით თუ ჩრდილოვანი ეკონომიკის სხვა ჯადოქრული არხებით აგროვებდნენ უკანონო ქონებას, ხოლო პატიოსანი მშრომელები, რომლებსაც სამოწყალო ხელფასით ძლივს გაჰქონდათ თავი, მრავალშვილიანი ოჯახები და საერთოდ კომუნისტური იდეოლოგიით მოტყუებული მოქალაქეები, ვერაფერს შეიძენენ, პირიქით, მომავალ ასეთ მეწარმეთა ხელში მათ ახალი კაბალური შრომა მოელით.

ისიც გასაგებია, პრივატიზაციის ასეთი წესი ჩვენს რესპუბლიკაში დაუშვეს იმიტომ, რომ საჭიროა გამოინახოს ბიუჯეტის უზარმაზარი დეფიციტის შევსების წყარო, მაგრამ ისტორიულ-ეკონომიკური სამართლიანობის გამრუდების საბუთად ეს მაინც ვერ გამოდგება.

ამიტომ, საჭიროა გამოინახოს პრივატიზაციის გატარების ისეთი გზები და ფორმები, რომელთა შედეგებით არავინ დარჩება წაგებული და სამართლიანობაც დაცული იქნება. როგორც იტყვიან, მიეცემა „კეისრისა კეისარსა და ღმრთისა ღმერთსა". ჩვენს მიერ (და არა მარტო ჩვენს მიერ) შემუშავებული პრინციპები კი საშუალებას იძლევა კომპლექსურად გადავწყვიტოთ წამოჭრილი პრობლემა და პრივატიზაციის შედეგებით დაკმაყოფილდეს როგორც მოსახლეობის, ისე სახელმწიფოს (რესპუბლიკის) მოთხოვნები.

ამისათვის საჭიროა, სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაცია განხორციელდეს ორ ეტაპად. **პირველ ეტაპზე** განისაზღვრება საპრივატიზაციო ობიექტები, ტარდება მათი ინვენტარიზაცია და წარმოების საშუალებები შეფასდება აღდგენითი ღირებულების მეთოდის გამოყენებით; განისაზღვრება საპრივატიზაციო ქონების საერთო ღირებულება და აქედან გამომდინარე რესპუბლიკის ერთ მაცხოვრებელზე კუთვნილი ქონება; მოიჭრება ამ ღირებულების ექვივალენტური აქცია; რესპუბლიკის მთავრობა ან მისი დავალებით სახელმწიფო ქონების ფონდი (იქმნება) ასრულებს სიმბოლურად ერთიანი სააქციო საზოგადოების დამფუძნებლის როლს და კუთვნილ აქციებს უნაწილებს თითოეულ მაცხოვრებელს გარკვეული დიფერენციაციით. დიფერენციაციის საფუძველი იქნება რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრის შექმნაში მონაწილეობის კოეფიციენტი (ამ კოეფიციენტს შეიმუშავებს კომიტეტი).

ეს აქცია არ იძლევა უფლებას რომელიმე საწარმოს კონკრეტულად ფლობისათვის. იგი ძირითადად დივიდენდის მიღების საშუალება იქნება.

პრივატიზაციის პირველი ეტაპის განხორციელებით რესპუბლიკის ყველა მაცხოვრებელი კუთვნილებისამებრ მიიღებს სახელმწიფო ქონებას. ამით აღდგება 70 წლის წინათ დარღვეული ეკონომიკურ სამართლებრივი ნორმები და ყველა მოქალაქეს შეექმნება თანაბარი **სასტარტო** მდგომარეობა მესაკუთრებრივ ურთიერთობაში.

პრივატიზაციის **მეორე ეტაპი** გულისხმობს უკვე განაწილებული ქონების გადანაწილებას ძირითადად სწორედ იმ წესებისა და ფორმების გამოყენებით, რომლებიც ფიქსირებულია სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ კანონში. სახელმწიფო საწარმოთა გაყიდვას ახორციელებს კომიტეტი და მისი ადგილობრივი ორგანოები. აღდგენითი ღირებულებით მიღებულ ფასს, ანუ აქციების ფასსა და კონკურსის ან აუქციონის წესით ფაქტიურად რეალიზებულ საწარმოს ფასს შორის სხვაობა ირიცხება, შესაბამისად, რესპუბლიკის ან ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტში.

რა თქმა უნდა, პრივატიზაციის მეორე ეტაპის განხორციელების შედეგად წარმოების საშუალებების დიდი ნაწილი მაინც იმათ ხელში მოექცევა, ვისაც სხვადასხვა ეკონომიკური მანიპულაციებით დაგროვილი აქვს საკუთარი კაპიტალი. მაგრამ, მთავარი მაინც ისაა, რომ თავდაპირველი სასტარტო მდგომარეობა რამდენადმე გაწონასწორებული იქნება ყველა პატიოსანი მაცხოვრებლისათვის და შემდგომი ეკონომიკური ზრდა მათივე უნარზე იქნება დამოკიდებული. გზა გაეხსნება წმინდა საბაზრო ეკონომიკას. ჩვენ საუბარი გვაქვს ელემენტარულ სამართლიანობაზე. აბსოლუტური ეკონომიკური სამართლიანობა არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება. ამის მოიმედობა ყმაწვილური გულუბრყვილობაა. და მაინც, მეტ-ნაკლებად თანაბარი სასტარტო მდგომარეობის შექმნით წყდება უმთავრესი სოციალურ პოლიტიკურ ეკონომიკური ამოცანა: **საზოგადოებაში ქონებრივი დიფერენციაცია კლასთა ბრძოლის საფუძველი არ გახდება.**

**ზაურ ჩქვანავა,**
**ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, აღრიცხვისა და კონტროლის მუშაკთა ასოციაცია „ჰამარი" პრეზიდენტი.**

ავკასია — ჩვენი საერთო სახლი

# დაღესტან-საქართველოს ძველი და ახალი ურთიერთობანი

დასაბამიდან, გეოგრაფიული ზობლობის გამოისობით, დაღესტანი ჩვენს გვერდით იყო და მირად (განსაკუთრებით მაშინ, როცა ქრისტიანობა იმძლავრებდა ა გულად მისიონერთა მეოხებით ავის გავლენას დაღესტნის დიდ წილზე განავრცობდა) ჩვენს ჭია თუ ლხინს სათანადოდ იყოდა. ამის ნათელსაყოფად ფაქბის დამოწმება ქართული ისტორიოგრაფიიდან მრავლად შეიებ...

როგორც ცნობილია, XVIII სდაღესტნის მოსახლეობის აბური უმრავლესობა საბოდაადგა მუსულმანური საების ერთ-ერთ მიმართუ— სუნიზმს და საგრძნოგაძლიერდა კიდეც.

აჭუხაროა, რომ ამ ხანებში ყო ლეკთა და სხვათა განუელი თარეში საქართველოში, მოჰყვა ქართლ-კახეთის ვლების აოხრება — იავარყოდა მშვიდობიანი მოსახლეობის ცვა-ტაცება. მაგრამ, აქვე უნითქვას, რომ ეს პროცესი ცარივი არ ყოფილა და შემდეგ თველების მხრიდანაც ხშირად ბოდა საპასუხო თავდასხმები ილოეთ კავკასიის ახლომოსატომებზე, რასაც ხალხური ირსიტყვიერება ცხადყოფს. აც შეეხება ჩრდილოეთ-კაველთა გამუდმებულ თავდასხას, მართებული იქნება თუ მოტონებთ დავით გურამიშვილის შთამბეჭდავ სტრიქონებს საქართველოს მაშინდელ რთულ პოლიტიკურ ვითარებაზე:

„თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი,
ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაჰკრა თითო ქიშტი"!

ასეთი დაუოკებელი ჟინი და დაუცხრომელი მისწრაფება მომხვდურთა მხრიდან ერთგვარად ლოგიკურიცაა, ვინაიდან ჩრდილოეთ კავკასიასთან შედარებით იმდროინდელი საქართველო მდიდარი იყო, მტერიც აურაცხელი ჰყავდა, ყველას მისი ოქრო-ვერცხლისაკენ ეჭირა თვალი, რომ პირველივე შესაძლებლობისთანავე უხვი დავლა ეგდო ხელთ. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც ხსენებულ ხანაში ძმა ძმის სისხლს არ იშურებდა, მეზობელი მეზობელს მტრობდა, სოფელი სოფელს არბევდა და ასე უსასრულოდ. იყო არსებობისათვის ბრძოლა ყოველგვარი საშუალებით. ერთიანობისათვის, მთლიანობისათვის სწრაფვა, რაც თავისთავად სიყვარულია (პლატონი) მაშინ კი არა, როცა „ალივსო ქვეყანა უსამართლობითა", ახლაც უცხო ხილია ზოგიერთებისათვის.

„აწ კუალად პირველსავე სიტყვასა მივიდეთ" და დაღესტან-საქართველოს ბოლო დროის ურთიერთობას გავადევნოთ თვალი.

დაღესტნელთა უთავქამო თარეშის გამოძახილს ხშირად ვწყდებით თანამედროვე ქართველ ადამიანებში, რომელთა მეხსიერებამ ავადსახსენებელი ნამყოს ნაყოფი გონებაში მტკიცედ ჩაიჭდია და ხანგრძლივად დაიუნჯა. მის ამოშლას, ალბათ, დიდი ხანი დასჭირდება.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ ეს უკვე წარსულია და იგი არ უნდა იქცეს დაღესტნელ ხალხებთან ჩვენი მტრული დამოკიდებულების მიზეზად. ამ მხრივ საგულისხმოა ჩვენი სალად მოაზროვნე და მიუკერძოებელი წინაპრების ბრძნული შეგონება: ჩრდილოეთ კავკასიელს იმდენი ზიანი არ მიუყენებია საქართველოსთვის, როგორც ერთი ქართველი თავადის გაუთავებელ ქიშპსა და მტრობას — მეორე თავადთან.

ამ ყურადსაღები გამონათქვამიდან ამოსვლით უნდა განვაცხადო, რომ ახლო მეზობლებთან ურთიერთობა საღ აზრს და მიზანმიმართულ დიპლომატიას უნდა ემყარებოდეს და არა ემოციისმიერ ჯანყს, რაც გათიშვის წინაპირობაა. ყოველნაირად უნდა შევეცადოთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან ურთიერთობა (უპირველეს ყოვლისა კი დაღესტანთან!) გეგმაზომიერად წარიმართოს და ოპერატიულად გადაწყდეს, რაც შემდგომი კონსოლიდაციის საწინდარი იქნება. ხომ დღესავით ნათელია, რომ კეთილმოსურნე მეზობელი დიდი სიკეთის მომტანია, ხოლო მტრად მოკიდებული კი — მტრისას!

დღესდღეობით დაღესტანში ისეთი შეხედულება მწიფდება, რომლის მიხედვით ქართველები კაცთმოძულე, რასიზმის მქადაგებელ, შოვინისტ ხალხად ცხადდება. ეს კი, ბუნებრივია, ძაბავს ქართველი და დაღესტნელი ხალხების ურთიერთობას, რაც თავის მხრივ, ხელს უშლის მთლიანად კავკასიელი ერების მშვიდობიან თანაარსებობას. მართალია, ინტელიგენციის ნაწილს ეს არ სჯერა და ამგვარ ინფორმაციას სკეპტიკურად უყურებს, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობას ეს უტყუარ ჭეშმარიტებად მიაჩნია. ადგილობრივთა შეხედულებით, ამას გარკვეულწილად ამძაფრებს და მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს ხუნძი მოსახლეობის გადმოსახლება ყვარლის რაიონიდან. ეს, რასაკვირველია, ცენტრალურ საინფორმაციო საშუალებათა (უპირველეს ყოვლისა, ცენტრალური ტელევიზიის) „დამსახურებაა". მათ უკვე განახორციელეს „დაყავი და იბატონე"-ს პრინციპი და დასახულ მიზანს მიაღწიეს.

ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე ქართველმა ერმა მეტი აქტიურობა და ყურადღება უნდა გამოიჩინოს, რომ ეს პრობლემა საბოლოო ჯამში პოზიტიურად გადაწყდეს. გულსატკენია, რომ ბოლო ხანებში ჩვენში თავი იჩინა შინაშლილობამ, მაგრამ ეს არ უნდა იქცეს დაბრკოლებად საგარეო პოლიტიკისათვის.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა საქართველოს საინფორმაციო საშუალებათა აქტიური მოქმედება ამ საკითხის მართებული გადაწყვეტისათვის. სასურველია, რომ დაღესტანში (თუკი ეს ტექნიკურად მოსაგვარებელია) ტელევიზიითა და რადიოთი მოეწყოს თუნდაც ნახევარსაათიანი გადაცემები, რომლებშიც ზოგადად მაინც გაშუქდება ჩვენი პოლიტიკა ამის თაობაზე. გარდა ამისა, დეტალურად უნდა შევისწავლოთ და ნათელი მოვფინოთ ყვარლის რაიონში მცხოვრები ხუნძების საჭირბოროტო პრობლემებს და დაეჭვებულებს ვაუწყოთ მომხდარი ინციდენტის ყველა მიზეზი... სამეცნიერო წრეებში გამოითქვა სურვილი, რომ გაზეთ „დაგესტანსკაია პრავდას" მიეწოდოს ქართველ ჟურნალისტთა სტატიები, რომელთა დაბეჭდვაში ისინი შესაძლებლობისამებრ დაგვეხმარებიან.

ერთი სიტყვით, აუცილებელია ჩვენი მეზობლების დამშვიდება და მათში ჩასახული უნდობლობის გაქარწყლება, რაც სწორი დიპლომატიით მიიღწევა. ეს აუცილებელიც არის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. მარტო ის რად ღირს, რომ მომავალში შესაძლოა ჩამოგვერთვას ყიზლარის საზაფხულო საძოვრები, რაც მეტად დააზარალებს ჩვენს მეცხოველეობას. ამაზე ზოგი რაიონის პრეფექტებიც საგანგებოდ ამახვილებენ ყურადღებას; სახელდობრ, თიანეთის რაიონის პრეფექტი ნუგზარ ჩაჩავა წერს: „ჩვენთვის ყიზლარის დაკარგვა რაიონის ეკონომიკის მოშლის ტოლფასია" (იხ. „სოფლის ცხოვრება," 4, IX.91)...

საყურადღებოა, რომ დღევანდელი მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე ქართველ ხალხთან დაღესტნელი ხალხების გენეტური ნათესაობა მტკიცდება, ე. ი. ჩვენს ხალხებს აერთიანებს არამარტო მეზობლობა, არამედ ერთი საერთო წინაპარი. ესეც არ იყოს, დაღესტნის ხალხები კავკასიის ავტოქტონური მოსახლეობაა; ავტოქტონობა კი ქართველი და დაღესტნელი ხალხების კეთილგანწყობილებისა და მეგობრობის მთავარი სიმბოლო არის.

**ნოდარ არდოტელი**

**გერმანელთა პიკეტი... თეთრ სახლთან**

**პირველ რიგში** იმის შესახებ, რომ ლაპარაკია მოსკოვის თეთრ სახლზე („არ გათეთრდების ყორანი"). მეორედ კი იმას მოგახსენებთ, რომ მსგავსი ხასიათის პიკეტი, ცოტა უცნაურიც, პირველად ნახეს მოსკოველებმა, რსფსრ-ს უზენაესი საბჭოს შტაბ-ბინის მოპიკეტეები არიან არც მეტი, არც ნაკლები, გერმანული ფირმა „ინოტექსის" თანამფლობელები, რომლებიც საბჭოთა პარტნიორებმა ჩვენებურად „მოსვეს" და არ გადაუხადეს მათ მიერ დამონტაჟებული, უკვე ექსპლუატაციაში შესული, ავტომატური სატელეფონო სადგურის ღირებულება — 2 მილიონი მარკა. ფირმა გაკოტრდა და მის მფლობელებს, თუ საბჭოთა პარტნიორებს სინდისი არ შეაწუხებთ, გერმანიაში სასამართლოს წინაშე მოუწევთ წარდგომა. გაკოტრებულების ქონებას, გერმანიის კანონის მიხედვით, კონფისკაცია ელის, თვით მათ კი სიცოცხლის ბოლომდე აეკრძალებათ მეწარმეობა და სადაც არ უნდა იმუშაონ, მათი ხელფასი არ უნდა აღემატებოდეს უმუშევრის დახმარების თანხას. ჯერჯერობით კი მათ პიკეტს შედეგი არ მოუტანია, რადგან, როგორც საბჭოთა მხარე აცხადებს, მათ ფული არა აქვთ, და ეს მაშინ, როცა გერმანიამ საბჭოთა კავშირს მილიარდობით კრედიტი მისცა.

**ტუალეტის ქაღალდი პლუს მარქსი**

**ზაპოროჟიეში** იყიდება ტუალეტის ახალი კომპლექტი. მყიდველი ტუალეტის 5 შეკვრა ქაღალდთან ერთად, იღებს მარქსის 5 წიგნს „სამოქალაქო ომი საფრანგეთში" და ენგელსის ასევე 5 წიგნს „საშინაო საკითხებისათვის". ეს სიმდიდრე სულ 24 მანეთი და 20 კაპიკი ჯდება.

**მკვლელობა... ძეხვით**

**ომსკში,** ალბათ, არაერთი მკვლელობა მომხდარა, მაგრამ როგორიც ახლახანს, ასეთი მგონი მსოფლიო კრიმინალურმა ისტორიამაც კი არ იცის. კარგად გამობრუჟულმა კ-მ ასევე „კარგ ხასიათზე" მყოფ ვ-ს თავში ჩაარტყა გამოყვანილი ძეხვი. დაზარალებული საავადმყოფოში გარდაიცვალა. ალბათ მკვლელობის იარაღის უჩვეულობამ იმოქმედა მოსამართლეებზე, რომლებმაც დამნაშავეს მხოლოდ იძულებითი სამუშაო მიუსაჯეს. იმასაც ამბობენ, რომ მოსამართლეებს თავბრუ სასამართლოს შენობაში ნივთმტკიცებად შეტანილი ძეხვის სუნმა დაახვიაო.

**კანონიერი მკვლელობა**

**ვაშინგტონის** შტატის მცხოვრებნი განიხილავენ საკითხს, მისცენ თუ არა უფლება პიროვნებას თავისი ნებით წავიდეს ცხოვრებიდან, ცხადია, იმ სიტუაციაში, როცა განუკურნებელი სენისგან აუტანელი ხდება მისი ცხოვრება. არცთუ შორეულ წარსულში ასეთი კანონი მოქმედებდა კალიფორნიისა და ვაშინგტონის შტატებში, თუმცა ეს ეხებოდა მათ, ვისი სიცოცხლის შენარჩუნებაც მხოლოდ სამედიცინო აპარატურის საშუალებით იყო შესაძლ

**დაჯარიმებული პირველკლა.**

**პენზის № 64** სკოლაში დირექტორ. ...ანებით შემოღებულია ჯარიმების სისტემა. დაგვიანებისათვის მოსწავლეები იხდიან 10 მანეთს. სათანადო თანხებითაა შეფასებული სხვა „დანაშაულებიც", თუმც, როგორც გაირკვა, ეს გამოცდილება არცთუ ახალი ყოფილა. ოლქის ერთ-ერთი სკოლის ასევე მოხერხებულმა დირექტორმა ბევრად უფრო ადრე შემოიღო ჯარიმები. თუმცა ნოვატორი დირექტორი მალე მოხსნეს, ვინაიდან რაციონალური „საგადასახადო" სისტემიდან შემოსულ თანხას მთლიანად სასმელში „ამღერებდა".

**საიდუმლო ანგარიშებზე — მილიარდობით დოლარი**

**მოსკოვში** წარუმატებელი პუტჩის წინა დღეებში სკკპ-მ დასავლეთში საიდუმლოდ გაიტანა 180 მილიარდი დოლარი. როგორც ამბობენ, კომპარტიას უცხოეთის ბანკებში 7 ათასამდე საიდუმლო საბანკო ანგარიში აქვს.

## საერთაშორისო ცხოვრება

რუსეთის პარლამენტმა არ დაამტკიცა პრეზიდენტ ბ. ელცინის ბრძანება ჩეჩნეთ-ინგუშეთში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. პარლამენტის დადგენილების თანახმად, შექმნილ ვითარებაში ამ ბრძანების დამტკიცება შეუძლებელია და კრიზისი უნდა მოწესრიგდეს პოლიტიკური მეთოდებით.

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა პ. ვოშჩანოვმა განაცხადა, რომ ბ. ელცინი დათანხმდა პარლამენტის რეზოლუციაზე და მზადაა გააუქმოს აღნიშნული ბრძანება.

მანამდე ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, გენერალმა ჯ. დუდაევმა განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაციამ უარყო მისი რესპუბლიკის ყოველგვარი ცდა, მიეღწია სუვერენიტეტისათვის მოლაპარაკების გზით. გროზნოში გამართულ პრეს-კონფერენციაზე მან აღნიშნა, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკა იქნება დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო და თანასწორუფლებიან საფუძველზე დაამყარებს ურთიერთობებს თავის მეზობლებთან, მათ შორის რუსეთთან. მას შემდეგ, რაც ბ. ელცინმა გამოსცა ზემოთ აღნიშნული ბრძანება საგანგებო მდგომარეობის შესახებ, მთელ ჩრდილო კავკასიის რეგიონში გამოცხადდა მოხალისეთა საყოველთაო მობილიზაცია. მთიელ ხალხთა კონფედერაციისა და ჩეჩნეთის პარლამენტის ერთობლივ სხდომაზე შეიქმნა ჩეჩნეთის რესპუბლიკის თავდაცვის საბჭო, შეიარაღებული ძალების სარდლობა დაეკისრა გენერალ ჯ. დუდაევს.

●

მოძრაობა „დემოკრატიჩესკაია როსიას" რიგებში (რომელმაც ხელი შეუწყო ბ. ელცინის მოსვლას ხელისუფლების სათავეში) მოხდა განხეთქილება მას შემდეგ, რაც სამმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ დატოვა მოძრაობის ყოველწლიური ყრილობა. უთანხმოების მთავარი მიზეზი, მათი თქმით, არის ამ მოძრაობის პოლიტიკა, რომელიც საშუალებას აძლევს ავტონომიურ რესპუბლიკებს, გავიდნენ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობიდან, ასევე მოძრაობის პოლიტიკურ პარტიად გადაქცევის ცდები, ეს პოლიტიკური დაჯგუფებები აპირებენ საკუთარი კოალიციის შექმნას.

„ბი-ბი-სის" კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამჟამინდელი „განხეთქილება შეასუსტებს ლიბერალურ მოძრაობას იმ მომენტში, როცა ბ. ელცინს სჭირდება მისი მხარდაჭერა რადიკალური ეკონომიკური რეფორმის გასატარებლად.

●

თურქეთმა ოფიციალურად ცნო აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ილმაზმა დაარწმუნა საბჭოთა მთავრობა, რომ ეს გადაწყვეტილება არ მოახდენს რაიმე ზეგავლენას საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობებზე. საგარეო საქმეთა მინისტრმა გირაიმ კი განაცხადა, რომ მომავალში თურქეთის მთავრობა განიხილავს სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკების აღიარების, ასევე ზოგიერთ მათგანში თავისი საკონსულოების გახსნის საკითხს.

●

სომხეთის პრეზიდენტმა ლ. ტერ პეტროსიანმა დაიწყო ორდღიანი ვიზიტი ვაშინგტონში, რომლის მთავარი თემა იქნებნება აშშ-ს მიერ სომხეთის პოლიტიკური აღიარებისა და მისთვის დახმარების გაწევის საკითხი. რადიო „თავისუფლების" ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, დახმარების საკითხს სომხეთის პრეზიდენტი განიხილავს სახელმწიფო მდივნის თანაშემწესთან ლ. იგლბერგერთან მოლაპარაკების დროს, ხოლო ხუთშაბათს ის თეთრ სახლში შეხვდება პრეზიდენტ ჯ. ბუშს და მიმართავს მას სომხეთის დამოუკიდებლობის ოფიციალური აღიარების თხოვნით.

ჯ. ბუშის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში ბ. სკაუკროფტმა განაცხადა, რომ სომხეთის ცნობა აშშ-ს მიერ ნაადრევი იქნება, სანამ რესპუბლიკებს და ცენტრს ჯერ კიდევ არ გაურკვევიათ თავისი შემავალი ურთიერთობის ფორმები.

●

პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა განაცხადა, რომ აშშ შემოიღებს ეკონომიკურ სანქციებს იუგოსლავიის წინააღმდეგ და მხარს დაუჭერს გაეროს რეზოლუციას, რომელიც მოუწოდებს დააწესონ ემბარგო იუგოსლავიისათვის ნავთობის მიწოდებაზე. მანამდე მსგავსი სანქციები დააწესა ევროპის ეკონომიკურმა გაერთიანებამ, რომელმაც შეუწყვიტა იუგოსლავიას ყოველგვარი დახმარება და შეაჩერა მასთან სავაჭრო თანამშრომლობა.

ზედიზედ რამდენიმე დღეა, იუგოსლავიის ფედერალური არმია ცეცხლს უშენს ხორვატიის საპორტო ქალაქ დუბროვნიკის შუა საუკუნეების ისტორიულ ცენტრს, რომელიც ოფიციალურად გაეროს დაცვის ქვეშ იმყოფება, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლი.

**ირინა თევდორაშვილი**

# გიორგობა გომბში, აწყურსა და ჯავარში



**ძვირფასო თანამემამულენო!**

**წინასწარ გილოცავთ ხსენების დღეს, 23 ნოემბერს — წმიდისა დიდებულისა დიდმოწამისა და ძლევამოსილისა გიორგისა, რომელიც საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებით წელს მეორედ აღინიშნება, როგორც სრულიად საქართველოს უდიდესი დღესასწაული.**

●

თეთრ ცხენზე ამხედრებული წმიდა გიორგი ქართველი ხალხის წარმოსახვაში გამარჯვების, სიმართლის და ყველა სანუკვარი იდეალის სიმბოლო არის.

„ნიშნი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარ-მოწამისა გიორგისანი ყოველსა ივერიასა შინა, რამეთუ არა არიან ბორცუნი ანუ მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი (ნაშენნი) ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი", — ბრძანებს ვახუშტი და დასძენს — ბერძნები და მერმე სხვა ხალხები ქართველებს გეორგიანელებს ამიტომაც უწოდებდნენო...

საერთოდ სრულიად საქართველოს ყველა კუთხე მოფენილია წმ. გიორგის სახელზე აგებული ეკლესია-სალოცავებით, რომელთა კედლებსაც ამშვენებენ მისი ცხოვრებისა და სასწაულების გამომსახველი ფრესკები, ოქრო-ვერცხლით მოჭედილი ხატები და ჯვრები.

ქართული საეკლესიო რელიგიურ დღესასწაულთა უმრავლესობა წმიდა გიორგის სახელს უკავშირდება, ამიტომაც დამკვიდრდა გამოთქმა „365 წმიდა გიორგი", ვინაიდან წლის ყოველ დღეს უწევს მისი რომელიმე დღესასწაული.

გომბის (თერჯოლის რაიონი), ანუ კარდაუგდებელი წმ. გიორგის სალოცავს 6 მაისს — წმიდა გიორგის ხსენების დღეს მარგვეთის ეპისკოპოსის ქრისტეფორეს (წამალაიძე) სიტყვებით რომ ვთქვათ, სულ ცოტა 250-300 ათასი ადამიანი ეწვია. ვაკვირდებოდი დიდსა თუ მცირეს და ვატყობდი — მოსულთაგან ზოგს ავადმყოფის განკურნება ეწადა, ზოგს სიბრძნის გზა-კვალზე დადგომა, ხოლო ყველას მშვიდობა და ბედნიერება ოჯახის, ერისა და მამულისათვის.

გასახარია, რომ წმიდა გიორგის სახელობის გომბის სალოცავი, რომლისგანაც ნანგრევებიღა იყო დარჩენილი, სოფლის მორწმუნეების — ასაკოვანი (ალიოშა, ბუდუ, ვლასი, იური და ტარიელ ისაკაძეები; გურამ მუჯირი; გენო, გიორგი და ტრისტან რობაქიძეები; შაქრო ჯიხვაშვილი) და ახალგაზრდა გომბელების (გოჩა და მისი სეხნია, ავრეთვე გოჩა ისაკაძეები, მამუკა ფანჩულიძე, მამუკა ჩაფიძე...) მეცადინეობით აშენდა. მკითხველმა საქმის მთელი სირთულე რომ წარმოიდგინოს, დავძენ, რომ გომბის სალოცავი მაღალ მთაზეა აღმართული, ამიტომ გზაწვრილი გაიყვანეს და ცალუღელა ხარით ზიდეს ყველაფერი...

„ჰოი ეს ჩხარი"... დიახ, გომბი სწორედ გრიგოლ რობაქიძის მშობლიური ჩხარის მეზობელია.

„ვინც საქართველოსათვის საქართველოს შუაგულიდან გამოდის, იგი „თეთრ გიორგის" გვერდს ვერ აუხვევს". „თეთრი გიორგი" რაინდია ქართველების და რაინდი „წმიდა". ეს ასეა, წერს გრიგოლ რობაქიძე — ეს განხილვა, ეს გადმოფენა მე მიცდია არაერთხელ, ნათქვამის გამეორება ყოველთვის არაა სათანადო. აქ ავამეტყველებ მხოლოდ ორიოდე „წვრილმანს". 1918 წელს საქართველოს ერგუნა დაკარგული სუვერენობის აღდგენა... და აი: სახელმწიფო ღერბისათვის ინტერნაციონალისტებმა თეთრ გიორგის მიმართეს. სხვათა შორის წარწერა ამ ღერბზე ჩემი ხელითაა გაყვანილი..."

აწყურის (ახმეტის რაიონი) თეთრი გიორგობა მარიამობის დღეს — 28 აგვისტოს აღინიშნება. „ვიდრე ქრისტე დაიბადებოდა ყოვლადწმიდა მარიამისაგან საქართველოს მფარველი იყო თეთრი გიორგი"... ამბობს ამ ეკლესიის წინამძღვარი მამა ალექსი და ლოცავს ყველა მორწმუნეს. ხოლო მორწმუნე, მლოცველი თეთრ გიორგისაკენ მუდამდღე, განსაკუთრებით კი აგვისტოს დამდეგიდან ნოემბრის დამლევამდე მოდის და მოდის. მლოცველთა ინტერესი იმითაც არის განპირობებული, რომ აქ თეთრი გიორგის ეკლესიის ეზოში შარშან თავისი ანდერძისამებრ დაიკრძალა საქართველოს ეროვნული გმირის — ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძმადნაფიცი და თანამებრძოლი, შეფიცულთა რაზმის უკანასკნელი რაინდი ალექსანდრე სულხანიშვილი...

„ქართველი ხალხი პირველი საუკუნიდან მოყოლებული ქრისტიანია და ქრისტიანადვე უნდა დარჩეს, ჩვენი ერი არ უნდა დაიყოს სექტებისა და უცხო რელიგიათა შემოსვლის შედეგად. საქართველო მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ გადაარჩინა და კიდევაც გადაარჩენს. ჩვენმა ხალხმა ამ გზით უნდა იაროს და ყოველი, რომელიც მართლმადიდებლობას, ჩვენს ეკლესიას, სვეტიცხოველს უღალატებს, იგი მოღალატე იქნება მშობელი ერისაც, ამიტომ ყოველი კაცი, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენში სექტანტური მოძღვრებისა და სხვადასხვა რელიგიების გავრცელებას, ქართველი ერის მტრად გამოცხადდება" — ბრძანებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე. ეს სიტყვები, ეს ქადაგება 12 მოციქულის ხსენების დღეს (13 ივლისი) სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში მოვისმინე და ბუნებრივია, ვისურვე რომ ჩემს მშობლიურ ქალაქ ჯვარში, სადაც გადმოცემით აღუმართავს ჯვარი წმიდა ანდრია მოციქულს, რაც შეიძლება მალე აშენდეს ჯვარის ჯგვეს — წმიდა გიორგის ეკლესია, რომელიც 1924 წელს სოფლის ცდომილმა შვილებმა დაანგრიეს; ასევე უნდა აღსდგეს გიორგობის დღესასწაული, რომელიც ტრადიციულად ყოველი წლის 23 ნოემბერს იმართებოდა...

ეს ნატვრა-სურვილი ღვთის წყალობით იქნება მალე განხორციელდება, რამეთუ ჯვარში შეიქმნა და მოქმედებს საქველმოქმედო საზოგადოების საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც ამხნევებს საქართველოს საპატრიარქოს, ძეგლთა დაცვის სამმართველოს, ქალაქ ჯვარის ხაკრებულოს, წალენჯიხის პრეფექტურის მხურვალე თანადგომა. სწორედ მათი და ქალაქის მორწმუნეთა თანადგომით ჯგვეს — წმიდა გიორგის ეკლესიის ნაფუძარზე 1991 წლის 23 ნოემბერს, შაბათს, დილიდანვე აღორძინდება გიორგობა, გაიმართება ჯვარელთა საქმიანი შეხვედრა-დიალოგი, შემოქმედთა ნამუშევრების გამოფენა, ხალხური თვითშემოქმედება და თამაშობანი.

დაბოლოს, გთავაზობთ სურათს, რომელზეც ჯვარელი მოძღვარნი, მასწავლებლები და მოწაფეები არიან წარმოდგენილი (1919). მარცხნიდან პირველი ჯვარის ჯგვეს — წმ. გიორგის ეკლესიის მოძღვარი სოლომონ გეთია, რომლის ცხოვრება-მოღვაწეობა 1937 წელს ტრაგიკულად დამთავრდა...

**ზვანჯი მანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთავარია სიკეთის ნიჭი

## ასე ფიქრობს მრავალდარგოვან კოოპერატივ „გორდას“ თავმჯდომარე თამაზ ჭკუასელი



**ბატონო თამაზ, დღეს ბევრს ლაპარაკობენ კოოპერატივებზე, ბევრი უარყოფითი გვესმის მათი საქმიანობის შესახებ. რატომაა ასე, თქვენ როგორ ხსნით შექმნილ სიტუაციას?**

— ამ მიზეზების ახსნა ბევრნაირად შეიძლება, მაგრამ მთავარი მაინც ერთია — წლების მანძილზე დამკვიდრებულმა მანკიერმა სტილმა, მაქიხაციის მომხველობისა და სიყალბის სენმა ისე ღრმად გაიდგა ზოგიერთის ფსიქოლოგიაში ფესვები, რომ თავისი ცხვირის იქით ვერაფერს ხედავს. კოოპერატივი უნდა იყოს, შემდგომში მაინც უნდა გადაიქცეს ეკონომიკის ერთ-ერთ სტაბილურ ბერკეტად. ველოსიპედის გამოგონება არ გვინდა, უამრავი შესაბამნავი მაგალითია საზღვარგარეთ. თვალს უხარია მათი ფერმის, საწარმოების, ფაბრიკების ნახვა. წარმოიდგინეთ დღეს რამდენი კოოპერატივიცაა რესპუბლიკაში იმდენი რომ ზრუნავდეს ხალხის, თავისი თანამშრომლების კეთილდღეობაზე, გარემოს სისუფთავეზე, სასარგებლო პროდუქციის შექმნაზე, მათი მუშაობის პრინციპში რომ საზოგადოებრივი ინტერესიც იყოს ჩადებული, როგორ მოვიგებდით ყველა.

მხოლოდ მოგება, მხოლოდ ფული ნებისმიერი გზითა და საშუალებით — ასე ფიქრობს ბევრი ჩემი კოლეგა და ამიტომაც იქცა კოოპერატორი საგინებელ სიტყვად. დღეს ამ სისტემაში ბევრმა ძველმა ფუნქციონერმა მოიყარა თავი, იგი ბევრისათვის თვითდამკვიდრების, იოლი გზით გამდიდრების საშუალებად იქცა, ამიტომაც გავილანძღეთ, ამიტომაც გვიკავია რაღაც ზღვრული მდგომარეობა კანონსა და უკანონობას შორის.

**— ერთიც ხომ ცნობილია, რომ სწორედ ზოგიერთი კოოპერატივისა და ერთობლივი ფირმის „დამსახურებით“ რესპუბლიკიდან ბევრი დეფიციტური საქონელი გაიდა, სამაგიეროდ კი ყოვლად უსარგებლო, მაგრამ „სარფიანი“ პროდუქცია შემოიტანეს...**

— გეთანხმებით, თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ დღეს გაცვლა ურთიერთობების აუცილებელი პირობაა, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა იმ პროდუქტების ჩამონათვალი, რომლის გატანა რესპუბლიკიდან არ შეიძლება, ნორმალურმა კაცმა არ უნდა მოინდომოს თავი აარიდოს საერთო წესს. ამას სამართალდამცავი ორგანოებიც დაარეგულირებენ, ალბათ, მაგრამ, რამდენადაც უნდა ალმოიფხვრას და წინ გადაველობოთ ასეთ ფაქტებს, იმდენად გზა უნდა გავუხსნათ ყველას, ვისაც რესპუბლიკაში საჭირო პროდუქცია შემოაქვს. რამდენადაც მე ვიცი, ხელოვნური ბარიერები ჯერ კიდევ არსებობს, ეს კი, თუნდაც ძალზე მონდომებულ კაცს, გულს აცრუებინებს საქმეზე...

და კიდევ ერთი, ბევრი ხარვეზი გასწორდება მას შემდეგ, რაც მთლიანად დარეგულირდება ურთიერთობა სახელმწიფოსა და კოოპერატორებს შორის.

**— ბატონო თამაზ, თქვენი კოოპერატივი მრავალდარგოვანია. როგორია თქვენი საქმიანობა და თქვენ როგორ აღწევთ თავს კოოპერატივების საქმიანობის სტერეოტიპს.**

—პროდუქცია, რომელსაც ჩვენ ამჟამად ვამზადებთ, სამკერვალოა, მასზე დიდი მოთხოვნილებაა რესპუბლიკის გარეთ, რესპუბლიკაში კი მისი გავრცელება გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, თუმცა, ვფიქრობ რომ ეს სიძნელეებიც ხელოვნურად იქმნება.

მე ჩემი პროდუქციის გაცვლის საფუძველზე რესპუბლიკაში ბევრი საჭირო პროდუქტის შემოზიდვა შემიძლია, მქონდა კიდეც ახლახან მოლაპარაკება კარაქის შემოტანის თაობაზე, მაგრამ როგორც გითხარით, გზებზე ახლაც ბევრი უთოფო ყაჩაღი დგას...

ჩემს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას იმ ადამიანებზე ზრუნვას ვთვლი, რომელთაც ვმუშაობთ. კოოპერატივში 200 კაცია, ერთმანეთის ჭირითა და ლხინით ვცხოვრობთ, რემონტი დავამთავრეთ, როგორც იქნა გველირსა კეთილმოწყობილი საშხაპე, სასადილო, დასასვენებელი ოთახი. სასადილო კი მაგრამ, რითი მოვამარაგეთო, მკითხავთ... გვინდა სადმე მიწა ავიღოთ დამხმარე მეურნეობისათვის. ეს სასადილოს მომარაგების საკითხსაც გადაწყვეტს და ჩვენი ოჯახებიც არ იქნება მთლიანად ბაზარზე დამოკიდებული.

**— თქვენ რომ მეტი საშუალება და უფლებები მოგცათ, როგორ გამოიყენებდით მას?**

—ბევრი გეგმა მაქვს, მინდა ჩემი ქალაქი ისეთივე ლამაზი და მოხერხებული იყოს, როგორც ბევრი სხვა ჩვენგან ნანახი და გაგონილი. იქნებ გაგვეღიმოთ, კეთილმოწყობილი ტუალეტების გახსნაზე ვფიქრობ, ბახმაროში დედათა და ბავშვთა სანატორიუმს ავაშენებდი, საოჯახო რესტორანს გავხსნიდი. ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლებს ავაგებდი... მე ოპტიმისტი კაცი ვარ და ვფიქრობ, რომ ჩემი ჩანაფიქრი ხორცს შეისხამს, ჩქარა დაგვიდგება ოცნების ასრულების დრო, ამისათვის კი დათითოკაცება კი არა, ერთ მუშტად ქცევა, მთელი ძალისხმევის დიდი მიზნისკენ მიმართვა და ის სიკეთეა საჭირო, რითაც დაიწყო ჩვენი საუბარი.

**— ბატონო თამაზ, რა უმთავრესი პრობლემები გაქვთ თქვენს საქმიანობაში?..**

— პრობლემები უამრავი გვაქვს, არ არსებობს უწყება, რომელსაც კოოპერატივებზე ზრუნვა ევალებოდეს, ხელისშემშლელი კი ბევრი მიზეზია. არადა, კოოპერატივებში ხომ ძალიან ბევრი ხალხია დასაქმებული და სამუშაოს ნებით თუ უნებლიეთ შეფერხება მძიმე ტვირთად აწვება მთელს კოლექტივს. უმნიშვნელოვანესი დაბრკოლებაა ისიც, რომ მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდში შეზღუდულია საბანკო ოპერაციები, არაა ფულის ნიშნები, ეს აფერხებს ჩვენს საქმიანობას. მე ვფიქრობ, რომ ხელოვნური შეზღუდვები და დაბრკოლებები საქმეს ვერ უშველის. კოოპერატივებს და საერთოდ ყველა უწყებას, რომელიც ხალხისათვის სასარგებლოდ მუშაობს, ხელშეწყობა და საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, დახმარება სჭირდება. ერთსაც გეტყვით, ვფიქრობ, რომ თავისთავად სახელწოდება „კოოპერატივი“ ძალიან გამაღიზიანებელი გახდა. რესპუბლიკის გარეთაც კი არავის სურს საქმე იქონიოს ჩვენთან. იქნებ სჯობდეს რაღაც სხვა დასახელებით შევცვალოთ იგი, მაგალითად, ფირმით, კომერციული ცენტრით, მცირე საწარმოთი...

**— 1 ოქტომბრიდან მოგეხსენებათ, პრივატიზაციის კანონი შევიდა ძალაში და მისი პირველი ეტაპის განხორციელებაც იწყება, როგორ ფიქრობთ, რა სარგებლობას მოუტანს იგი ჩვენს რესპუბლიკას?**

— ვფიქრობ, რომ ეს პროცესი აუცილებელია ჩვენი ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისათვის. სულ მალე, ალბათ, მოსახლეობისათვის ხაგრძნობი გახდება მისი შედეგები, მაგრამ მეორეს მხრივ, ვშიშობ პირველ ხანებში იქნებ ამ პროცესმა ქაოსიც კი გამოიწვიოს. თუ წლების მანძილზე ჩამოყალიბებულმა ფსიქოლოგიამ დაგვძლია, ბევრი ისეთი შეიძენს ამა თუ იმ საწარმოს თუ მაღაზიას, რომლისაც პრაქტიკული მისი გამოყენებაც არ შეუძლია. მაგალითად, შვილისთვის, შვილიშვილისთვის ასეთი ობიექტი კი პრაქტიკულად ხალხისათვის დაკარგულია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პრივატიზაციის დროს ერთადერთი კრიტერიუმი ფულია. საჭიროა ისე წარიმართოს საქმე, რომ სწორად გადავწყვიტოთ, ვის უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია, ვის მივცეთ უპირატესობა, თუ ასე არ მოხდა, ეს პროცესი მძიმე ტვირთად დააწვება ჩვენს ხალხს...

**— ბატონო თამაზ, რა მიგაჩნიათ თქვენს მთავარ საქმედ, მთავარ მიზნად... რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ ბევრს ეხმარებით სულიერად, მატერიალურად, გაქვთ სხვისი ჭირის საკუთრად მიჩნევის ნიჭი, ზოგი ფულს მიწაში ინახავს და საკუთარ ძმას არ უზიარებს, თქვენ კი ძალიან ბევრისათვის გაგიმართავთ ხელი, მე განსაკუთრებით იხ მოზარდები მყავს მხედველობაში, რომელთაც სამკურნალოდ საზღვარგარეთ გაყვანა სჭირდებათ...**

— მე ვფიქრობ, ადამიანის, ყოველი ადამიანის მთავარი მიზანი სიკეთის კეთებაა, ჩემს მთავარ მიზნადაც ეს მესახება, მე არაფრისაგან დავიწყე ჩემი საქმიანობა და თუ დღეს სხვისი დახმარება და ხელისგამართვა შემიძლია, ეს დიდი შრომის და ენერგიის ფასად მოვიდა. დილით სამსახურში მისვლა მიხარია, რადგანაც ვიცი, თანამშრომლებს ვუყვარვარ და ჩემი თანადგომის იმედი აქვს, ესაა ყველაზე დიდი სიმდიდრე, რაც ცხოვრებაში მოვიპოვე. თუ რომელიმე ჩემი კოლეგა ფულის განივთებაზე, მის კაპიტალად გადაქცევაზე ფიქრობს, მინდა ვურჩიო, ეს კაპიტალი ნაღდი, გულწრფელი ადამიანური ურთიერთობები და სიკეთეა.

**— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბატონო თამაზ, იმედი მაქვს თქვენი ყველა სასიკეთო გეგმა და სურვილი ახდება.**

**ესაუბრა მარინე რუსაძე**


# განცხადება

საქართველო-საბერძნეთის საქმიანი თანამშრომლობის რესპუბლიკური ასოციაციის საგამოფენო-სარეალიზაციო ცენტრი SE („სუპერ ელეგანტი“) სამუშაოდ იწვევს 20-25 წლის ასაკის გოგონებს რეალიზატორის თანამდებობებზე. (სასურველია ინგლისური ან ბერძნული ენის ცოდნა).

**კონკურსი ჩატარდება 20 ნოემბერს 12 სთ-ზე SE-ს შენობაში.**

**მისამართი: დ. უზნაძის 25.**

**საკონტაქტო ტელეფონი: 95-07-95.**


## საპარლამენტო ფრაქცია „ქარტია-91“-ის

# განცხადება

**ამა წლის 11 ნოემბერს საღამოს 19 სთ-ზე მოხდა თავდასხმა უზენაესი საბჭოს საპარლამენტო ფრაქცია „ქარტია 91“-ის წევრზე მერაბ ურიდიაზე. „უაზის“ ტიპის ავტომანქანა მეტად საეჭვო ვითარებაში დაეჯახა დეპუტატს და მიიმალა. მერაბ ურიდიამ სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. ეს ინციდენტი მოხდა დეპუტატის სახლის წინ, საბურთალოს ქუჩა № 3.**

**საპარლამენტო ფრაქცია „ქარტია-91“ პროტესტს აცხადებს მომხდარი დანაშაულის გამო და მას აფასებს როგორც მორიგ ტერორისტულ აქტს.**

**12 ნოემბერი, 1991 წ.**

## სრულიად საქართველოს უპარტიო პატრიოტთა გაერთიანების საინიციატივო ჯგუფის განცხადება

საქართველოში უამრავმა ჭეშმარიტმა პატრიოტმა უარყოფითად შეაფასა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაყოფა ურთიერთდაპირისპირებულ პოლიტიკურ პარტიებად (საზოგადოებებად, კავშირებად, ბლოკებად და ა. შ.), რის გამოც უარი თქვა რომელიმე მათგანის წევრობაზე. ამ ადამიანთა პოზიციის სისწორე ცხადზე ცხადად გვიჩვენეს პარტიებშორისი ბრძოლის ნიადაგზე განვითარებულმა სხვადასხვა ტრაგიკულმა მოვლენებმა, ხოლო საბოლოოდ კი სრული უეჭველობით დაამტკიცეს ა. წ. სექტემბერ-ოქტომბერში მომხდარმა ძმათაშორისმა სისხლისღვრამ და ხოცვაჟლეტამ, რომელთაც ერი უდიდესი კატასტროფის — სამოქალაქო ომის — პირამდე მიიყვანეს. მაგრამ, ამასთანავე, იმავე ტრაგიკულმა მოვლენებმა ისიც დაამტკიცეს სრული უეჭველობით, რომ უპარტიო პატრიოტთა მამულიშვილური ძალისხმევა, ინდივიდუალური, არაორგანიზებული ხასიათის გამო, აბსოლუტურად არაეფექტურია და პრაქტიკულად ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს მიმდინარე პროცესებზე. ქვეყნისათვის ამ უაღრესად საზიანო ვითარებას უკეთესობისაკენ მკვეთრად და სწრაფად შეცვლის სრულიად საქართველოს უპარტიო პატრიოტთა გაერთიანების ჩამოყალიბება, რაც შესაძლებელს გახდის უპარტიო პატრიოტთა სახით საქართველოში არსებული უზარმაზარი პატრიოტული პოტენციალის ორგანიზებულ და ამდენად ეფექტურ ამოქმედებას სამშობლოს გამთლიანებისა და სრული პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მისაღწევად.

უპარტიო პატრიოტთა გაერთიანების ჩამოყალიბება არ ნიშნავს კიდევ ერთი პარტიის შექმნას. უპარტიო პატრიოტთა გაერთიანებას არაფერი აქვს საერთო დღეს-დღეობით საქართველოში ესოდენ მრავლად აღმოცენებულ პარტიებთან და მათგან ძირეულად განსხვავდება თვით წარმოშობითაც კი: უპარტიო პატრიოტები ბუნებაში თავისთავად არსებობენ და მათ ყოფნას არ განაპირობებს მათი ორგანიზაციის ფუნქციონირება — ჯერ ხომ არ დაფუძნებულა უპარტიო პატრიოტთა გაერთიანება, უპარტიო პატრიოტები კი არსებობენ; ხოლო პარტიულები ბუნებაში თავისთავად არ არსებობენ და მათ ყოფნას განაპირობებს მათი ორგანიზაციის ფუნქციონირება — თუ არ შეიქმნა პარტია, თუ არ გაწევრიანდნენ მასში ადამიანები, პარტიულები არ იარსებებენ. ამრიგად, უპარტიო პატრიოტთა გაერთიანება აერთიანებს ბუნებაში უკვე თავისთავად არსებული ერთი კატეგორიის ადამიანებს, ხოლო პარტია არ აერთიანებს ბუნებაში უკვე თავისთავად არსებული ერთი კატეგორიის ადამიანებს. ასე რომ, უპარტიო პატრიოტთა გაერთიანების საფუძველი ბუნებრივია და ამდენად მისი წარმოშობაც ბუნებრივია, ხოლო პარტიის საფუძველი ხელოვნურია და ამდენად მისი წარმოშობაც ხელოვნურია.

უპარტიო პატრიოტთა გაერთიანების ბუნებრივი წარმომავლობა განსაზღვრავს მისი დანიშნულების ბუნებრივ ხასიათს, რაც გულისხმობს მარტივად პირდაპირ სამშობლოს სასიკეთო ქმედებას ხელოვნურად შემუშავებული იდეის წამოყენების, გამარჯვებისა და განხორციელების გარეშე, ხოლო პარტიის ხელოვნური წარმომავლობა განსაზღვრავს მისი დანიშნულების ხელოვნურ ხასიათს, რაც გულისხმობს სამშობლოს სასიკეთო ქმედებას ხელოვნურად შემუშავებული იდეის წამოყენებით, გამარჯვებითა და განხორციელებით. ზემოაღნიშნულის გამო უპარტიო პატრიოტთა გაერთიანება აბსოლუტურად თავისუფალია პარტიებშორისი ბრძოლისაგან, რაც მას საშუალებას აძლევს მთელი თავისი შესაძლებლობები უკლებლივ მოახმაროს მხოლოდ საკუთრივ სამშობლოს სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემების (მათ შორის პარტიების ურთიერთბრძოლით ხელოვნურად გამოწვეულთა) გადაჭრას, ხოლო პარტია იძულებულია თითქმის მთელი თავისი შესაძლებლობები მთლიანად შეალიოს პარტიებშორის ბრძოლას და ფაქტიურად აღარაფერი რჩება გასაღები საკუთრივ სამშობლოს სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემების (მათ შორის, ცხადია, თვით პარტიების ურთიერთბრძოლით ხელოვნურად გამოწვეულთა) გადაჭრისათვის.

ამრიგად, უპარტიო პატრიოტთა გაერთიანება პარტიისაგან პრინციპულად განსხვავდება წარმოშობითაც, დანიშნულებითაც და დანიშნულების შესასრულებლად საჭირო ქმედების შინაარსითაც.

დღევანდელი საქართველო ყოფნა-არყოფნის წინაშე დგას: თუ გამთლიანდა — გადარჩება, თუ არა — დაიღუპება. და ამ, ქვეყნის ბედის გადამწყვეტ ჟამს, განგებამ უმნიშვნელოვანესი მისია სწორედ უპარტიო პატრიოტებს დააკისრა — დღეს ისინი აღმოჩნდნენ ერთადერთნი, რომლებიც პარტიების ორად დაჯგუფებით ორად გახლეჩილი საქართველოს შემაკავშირებელ სადუღაბე მასალად ივარგებენ, საამისოდ ხომ არც ერთი პარტიის წევრები არ გამოდგებიან! ამიტომაც, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩამოყალიბდეს უპარტიო პატრიოტთა გაერთიანება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ასიათასობით უპარტიო პატრიოტის — უდიდესი და შეუცვლელი მაკონსოლიდირებელი ძალის — ორგანიზებული ამოქმედება ქვეყნის გასამთლიანებლად.

უპარტიო პატრიოტებო! უკვე აღარავის გვაქვს უფლება შემოვიფარგლოთ ფორმულით „პატრიოტიზმი პროფესიული მოვალეობის პირნათლად შესრულებაა“, კვლავაც ამ პრინციპით ცხოვრება სამშობლოს წინაშე ვალის მოხდისათვის თავის არიდების, განზე გადგომისა და საკუთარი ხალხის განსაცდელის გარეშე მაყურებლის პოზიციიდან თვალთვალის ტოლფასია. ქვეყანას კი ჩვენი ერთსულოვანი მოქმედება ჭირდება! მაშ გაერთიანდეთ და ერთიანი ძალისხმევით ვემსახუროთ საქართველოს ჯერ გამთლიანების, ხოლო შემდეგ სრული განთავისუფლების წმინდა საქმეს! გავერთიანდეთ, რამეთუ ეშმაკი ჰყოფს, ხოლო ღმერთი აერთიანებს!

**გიორგი გვინჩიძე,**
**გელა ძაბილაშვილი,**
**დავით ჯაფარიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეს ჩვენი ისტორიაა

# ილია ჭავჭავაძის სანადიმო მჭევრმეტყველება

„ქართული სადღეგრძელო“ — ასეა დასათაურებული წიგნი, რომლისთვისაც მასალებს 30 წელია ვაგროვებთ. მუშაობის პროცესში ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ჩვენი ხალხის ყოველმხრივ მდიდარი ისტორიიდან ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას. ამ მხრივ საყურადღებოა სანადიმო მჭევრმეტყველება, რომლის ფოლკლორული და ლიტერატურული ნიმუშები სრულყოფილად, ცალკე წიგნად გამოცემული დღემდე არ მოგვეპოვება. ეს იმ დროს, როდესაც ცალკეული ფოლკლორული ნიმუშები სადღეგრძელოების სახით მე-19 საუკუნეშივე ჩაუწერიათ რაფიელ ერისთავსა და ვაჟა-ფშაველას.

„ქართული სადღეგრძელოს“ დღემდე მონოგრაფიულად შესწავლისა და ცალკე წიგნად გამოცემის გარეშე დატოვება ძალზე დაგვიანებასთან ერთად, დანაშაულია. ეს ამბავი მით უფრო გასაოცარია, რომ ჯერ კიდევ 1911 წელს სანკტ-პეტერბურგში რუსებმა გამოსცეს წიგნი სათაურით: „პროშუ სლოვა. ზასტოლნიე რეჩი ი სპიჩი“.

„ქართული სადღეგრძელოს“ ერთ-ერთი თავი ეძღვნება ჩვენი სახელოვანი მამულიშვილების ნადიმზე წარმოთქმულ სიტყვა-სადღეგრძელოებს. საგანგებო ადგილი აქვს დათმობილი დიდი ილიას სანადიმო მჭევრმეტყველებას.

ილიას ბევრი მნიშვნელოვანი სიტყვა-სადღეგრძელო აქვს წარმოთქმული, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ შვიდმა. პოეტს სიტყვა-სადღეგრძელოები წარმოთქმული აქვს თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის პროფესორ დავით ჩუბინაშვილის, ქართველი ხალხის მეგობრის არტურ ლაისტის, საფრანგეთის თბილისის საკონსულოს წარმომადგენელ კარრა დე ვოს, რუსი მწერლის და ეთნოგრაფის ევგენი ლევის ძე მაკაროვის და 1893 წელს თელავში, ჭადრის ქვეშ შეკრებილ მეღვინე-მევენახეთა საპატივსაცემოდ. ინტერესს იწვევს აგრეთვე რაფიელ ერისთავის საიუბილეო ნადიმზე და 1903 წლის მაისში სოხუმში გამართულ ნადიმზე წარმოთქმული სიტყვა-სადღეგრძელოები.

1881 წლის 17 სექტემბერს თბილისში დავით ჩუბინაშვილის, ილია ოქრომჭედლიშვილის და ალ.ცაგარელის საპატივსაცემოდ შეიკრიბნენ. სამივე რუსეთში მოღვაწეობდა. ილიამ სიტყვით მიმართა დავით ჩუბინაშვილს და საგანგებოდ ხაზი გაუსვა მეცნიერის ცხოვრება-მოღვაწეობის ორ დეტალს: „თქვენ ჩვენს სიტყვიერებას სამუდამო სალარო აუშენეთ, ჩვენი ჭკუისა და გულის მონაგარს, ჩვენს სულიერ განძს ბინა დაუდევით — თქვენ შეგვიდგინეთ ლექსიკონი და შემოგვიკრიბეთ ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკა. ამით სამართლიანი საბუთი მოგვეცით ხელში, რომ საქვეყნოდ თავი მოვიწონოთ ჩვენი ენისა და მწიგნობრობის სიმდიდრითა და ჩვენც ვთქვათ, რომ ჩვენც ოდესმე ვყოფილვართ, ჭკუით და გულით გვიცხოვრია“.

1884 წლის თიბათვეში ილია ჭავჭავაძემ ისტუმრა არტურ ლაისტი. ნადიმზე იყვნენ სახელოვანი ქართველები.

ილიამ სიტყვა-სადღეგრძელოში მოკლედ დაახასიათა სტუმარი და გააცნო დამსწრე საზოგადოებას „ჩვენი თავისიანი“ კაცის მიზანი. ილიას წარმოთქმულ სიტყვას გერმანულად უთარგმნიდნენ სტუმარს.

სადღეგრძელოში ილიამ ხაზი გაუსვა „კაცსა და სტუმარს“, „ჩვენს თავისიანს სულით და გულით“, რომელმაც „კისრად იდო შუაკაცობა გაგვიწიოს ჩვენსა და ევროპას შორის, რომელმაც იტვირთა ჩვენს გულში ამონაწები სიტყვა, ჩვენი ჭკუისა და გონების საუნჯე, ჩვენი სულიერი ძალღონე აცნობოს იმ ხალხთ, რომელნიც ქვეყნის წარმატების გზაზე მეთაურნი და მესვეურნი არიან“.

1884 წლის 30 ნოემბერს თბილისში შეხვდნენ საფრანგეთის საკონსულოს წარმომადგენლებს, კონსულს კარრა დე-ვოს და მდივანს დე სულჟანისს.ჯერ გაიმართა სათათბირო სადივერტისმენტო საღამო, რომლის შემოსავალიც გადაეცა ფრანგულ საქველმოქმედო საზოგადოებას. მათ გაზეთ „დროების“ რედაქციაში მოუწყვეს ვახშამი და სიტყვებით მიმართეს ამ საღამოს ორგანიზატორმა ივანე მაჩაბელმა (ფრანგულ ენაზე) და ილია ჭავჭავაძემ (ქართულ ენაზე).

ილიამ სიტყვის პირველსავე წინადადებაში რამდენიმეჯერ გამოკვეთა სიტყვა „პატარა“ და საგანგებო მჭევრმეტყველური დატვირთვა მისცა მას: „პატარა ლიტერატურამ“, „პატარა თეატრმა“, „პატარა რედაქციაში“, „პატარა ძღვენისათვის“ და იქვე ხაზი გაუსვა აფორისტულად: „მე მგონია, რომ დიდთან პატარაც არ გაჩენილიყო, ქვეყნიერების მშვენიერებას და სავსებას ბევრი რამ დააკლდებოდა და თვით შემოქმედების სიბრძნეზედაც ეჭვს შევიტანდით. ნუთუ ქვეყანა მით უფრო მშვენიერი, მდიდარი და სავსე არ არის, რომ დღეს უშველებელს მუხასთან პატარა მდელოზედ პატარა იაც ჰყვავის თავის საკუთარის ფერითა და სურნელებითა, ანუ თვალგაუწვდენელ ზღვისა და ოკიანის ტალღების გრიალთან ისმის ნელი ჩუხჩუხი და კამკამი პატარა წყაროსიცა“. ამის შემდეგ ილია ბრძანებს, რომ საფრანგეთის კონსულის სიტყვამ დაგვარწმუნაო, რომ „დიდსა თუ პატარას შუაც შესაძლოა ხიდი გაიდოს“, რომ „ამ პატარა საქართველოს ერს არ ეუცხოვება დიდი გრძნობა კაცთმოყვარეობისა. აი, აქაც დიდი და პატარა, დიდი გრძნობა და პატარა ერი ერთმანეთის შემავსებელნი ერთმანეთს ამკობენ და ამშვენიერებენ“.

ილიას სიტყვის ლოგიკურ თანამიმდევრობაც აძლიერებს პატარა ექსკურსი, რომელშიც ხატოვნად არის ჩამოყალიბებული აზრი, რომ „ქართველები ღარიბნი ვართ ოქროთი და ვერცხლით, მაგრამ გულით მდიდარნი ვართ და თუ ოქრო და ვერცხლი საუნჯეა ხორცისა, გულის სიმდიდრე ხომ საუნჯეა სულისა. ამ გრძნობით იყო მორთმეული ის შესაწირავი, რომელიც გაიღო ქართველმა ხალხმა ფრანგებისათვის. ისე რომ, კეთილი მოქმედების საქმეში ფასს ჰსდებს იმას კი არა, რომ სავსე მუჭა მოაქვს საშველად გამოწვდილს ხელსა, არამედ იმ მზადყოფნას, იმ ხალისს, იმ სითბოს გულისას, რომელმაც თვით ხელი გამოაწვდინა და რომელიც მცირეოდენ ძღვენსაც ძვირფასად ჰხდის“. ეს ილიამ იმიტომ გაიხსენა სადღეგრძელოში, რადგან „ღარიბი დედაკაცის გროში ძვირად დააფასა იესო ქრისტემ, იმიტომ რომ იესო ქრისტე ხულ-გრძელია“.

1893 წლის 11 ივნისიდან მთელი ათი დღის განმავლობაში მასპინძლობდა თელავის საზოგადოებრიობა ერის უპირველეს მოძღვარს ილია ჭავჭავაძეს. პოეტი-მამულიშვილი მონაწილეობდა კახეთის მევენახეთა და მეღვინეთა შეკრებაზე. შედგა ამ ამხანაგობათა წესდება, რომლის დამუშავება-დახვეწაში უშუალოდ ილიამ მიიღო მონაწილეობა.

ამ დროს, თელავში, ისტორიული ჭადრის ქვეშ, ილიას საპატივსაცემოდ გაიმართა დიდი ნადიმი, რომელზედაც სტუმარს სიტყვებით მიმართეს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა, ილია ზარაფიშვილმა და ილია ზურაბიშვილმა.

„ქება, ბატონებო, დიდი საუნჯეა და როგორც დიდ საუნჯეს, როგორც დიდ განძს ოქროსას და მარგალიტისას დიდი გაფრთხილება უნდა“ — ილიამ ამ სამადლობელ სიტყვაში ერთი ინდური თქმულება ჩაურთო და ამით გამოხატა თავისი სიტყვის დედააზრი: „ყრმაო, როცა მოდიხარ ამ ქვეყანაში, შენ სტირი და შენ გარშემო კი ყველა ჰღიმილობს და მხიარულობს, ჰქმენ ისე, რომ როცა ამ ქვეყნიდან გადიოდე, შენ ჰღიმილობდე და შენს გარშემო კი სტიროდნენო.

ღმერთმა ჰქნას, რომ ჩვენში ამისთანა კაცები გახშირდნენ და მაშინ ჩვენი ბედის ციხე-სიმაგრე ტინის კლდეზე იქნება დამყარებული“.

1895 წლის 22 ღვინობისთვე იდგა. ამ დღეს ოფიციალურად პირველად აღინიშნებოდა საქართველოში პოეტის იუბილე. ეს პატივი რაფიელ ერისთავს ხვდა წილად. ოფიციალური ნაწილის შემდეგ სტუმარ-მასპინძლები გვიან საღამოს მოიწვიეს ვახშამზე. ნადიმს თამადობდა სახელგანთქმული მოსაუბრე და ძველი ტრადიციების დამცველი გიგო ყარანგოზიშვილი. ამ ზეიმის მომსწრე, შემდგომში ემიგრაციაში მყოფი, გლახა მგელაძე წერს: „დარბაზის შუა სუფრასთან ვითარცა მამა აბრამი, შვენოდა იუბილარი: აქეთ იქით ილია-აკაკი, პირდაპირ გრიგოლ ზაზაშიძე, ძმები რაზიკაშვილები. ამათ მხარს უმშვენებდნენ მშვენიერი მანდილოსანნი: პოეტი ნინო ორბელიანი, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, ნინო ყიფიანის მეთაურობით. ნადიმზე სიტყვა-სადღეგრძელოები წარმოთქვეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ივანე მაჩაბელმა და სხვებმა“.

ილიას თანამედროვენი ბევრ საინტერესოს გვაუწყებენ დიდი მამულიშვილის სანადიმო მჭევრმეტყველებაზე. ალ.ყიფშიძე (ფრონელი) 1893 წლის 23 ოქტომბერს წერს თბილისიდან მოსკოვში მყოფ თავის ძმას ზაქარია ყიფშიძეს: „მეორე კვირას წავედით ყიფიანეთში ს.ქვიშხეთს. დიდი ამბავი იყო აქაც. დიმიტრი ყიფიანის სახლში საუზმის დროს იმდენი სიტყვები ითქვა, რომ სმენით დავილალე. ილიამ ბევრი ილაპარაკა, მაგრამ დასვენებით, მოკლედ და მკაფიოდ. ონ პროიზვოდიტ ნეოტროზიმოე ვპეჩატლენიე. ან ვინ გადაურჩება დაუმონებელ, მის გონიერ ლაპარაკს, ახდილს შუბლს და მშვენიერ, წყლიან თვალებს“. („ლიტერატურული მატიანე“, 1-1, 1940 გვ.185).

ჩვენამდე მოღწეული ეპისტოლეებიდან ჩანს, რომ ილიას ძალიან ჰყვარებია ქართლში მოგზაურობა. ალ.ყიფშიძეს ილიასთან ერთად სხვადასხვა დროს უმოგზაურია ქართლის სოფლებში: ახალგორში, ქვიშხეთში, ოძისში, წვერში, საღოლაშენში, ხვედურეთში, თიღვაში (1893-1894 წლებში). ილიასთან ქალაქ გორში 1894 წელს ერთ-ერთი შეხვედრისას ნადიმზე ნიკო ლომოურს ასეთი სიტყვით მიუმართავს: „ბატონო ილია! მე ვუცქერი მხოლოდ თქვენს მოქმედებას და გულწრფელად დავხარი მის კეთილსა და სასარგებლო ნაყოფსა. იარეთ, იარეთ, ჩვენო ძვირფასო, საერთო მასწავლებელო, იარეთ თქვენს სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში. რაღა თქმა უნდა, სანამ საქართველო იქნება დედამიწის ზურგზე, თქვენი ზეგარდმო მადლით ცხებული თხზულებანიც იქნებიან მშვენება ჩვენი მწერლობისა, მაგრამ ისიც კი ცხადია, რომ ვერც ერთი თხზულება ვერ მოახდენს თავის მკითხველზე ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას, როგორც ახდენს ხოლმე ცხოველ, პირდაპირი სიტყვა მსმენელზედ. იარეთ, ბატონო ილია, აქეთ იქეთ და თქვენი მჭევრმეტყველი ენით, თქვენს შორის გამსჭვრეტი ჭკუა-გონებით გააცოცხლეთ, ფეხზე წამოაყენეთ, მხნეობის სული შთაბერეთ თქვენს დღევანდელის დაცემულს და დავრდომილს თანამოძმეთ. ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს. სულით და გულით ვინატრი, რომ სიცოცხლე გაგრძელებულიყვეს იქამდე, ვიდრე თქვენგან დაიწყებულ დიდებულს მოღვაწეობას ღირსეული მემკვიდრე არ გამოუჩნდება“.

ილიას მეექვსე სიტყვა-სადღეგრძელო წარმოთქმულია 1899 წლის ოქტომბერში, ფრანგი ბარონის ჟოზეფ დე-ბაის და რუსი მწერლის ევგენი ლევის ძე მაკაროვის საპატივსაცემოდ გადახდილ ნადიმზე. ნადიმს თამადობდა პოეტი ვ.ველიჩკო, მშვენიერი სიტყვა წარმოუთქვამს დიდ ილიას.

1903 წლის გაზაფხულზე ილია ეწვია გაგრასა და სოხუმს. დიდი მამულიშვილის სტუმრობა განაპირობა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე განხილულმა საკითხმა, რომელიც ეხებოდა პრინც პეტრე ოლდენბურგის სასიკეთო საქმეებს აფხაზეთში. კერძოდ, მისი თაოსნობით გაიხსნა გაგრაში კურორტი და რეალური სასწავლებელი.

ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია ასე საინტერესოდ აღწერს ილიას სოხუმში სტუმრობას: „ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს ი.ჭავჭავაძის მოსვლა. ასეთი ადამიანების სტუმრობით სოხუმელები განებივრებულნი არ ვიყავით. წარმოგიდგენიათ, . რარიგ უნდა გაგვეხარებოდა მთელი საქართველოს სიამაყის ილია ჭავჭავაძის მოსვლა! რომ ყველას შესძლებოდა ი.ჭავჭავაძის ნახვა, მისგან ცოცხალი სიტყვის გაგონება, გადაწყდა, სადილი გამართულიყო ძმათა შერვაშიძეთა სასახლის ვრცელ ეზოში ასწლოვანი მუხებისა და ცაცხვების ქვეშ“.

24 მაისს სოხუმელებმა შეისრულეს გულისწადილი და მართლაც შერვაშიძეების ბაღში გაუმართეს ნადიმი სტუმრებს. ამ დროს აქ იმყოფებოდა ქართული დრამატული დასი, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ნადიმზე, აქ იქნა გადაღებული ის ფოტო, რომელიც კარგად არის ცნობილი.

როცა ჯერი სამადლობელზე მიდგა, პოეტმა ბრძანა: „ის პატივისცემა, რომელიც დღეს ჩვენ გვიძღვენით, მეტისმეტია და უნდა მიეწეროს თქვენ გულკეთილობას, რომელიც მცირეოდენ ღვაწლსაც დიდად აფასებს ხოლმე. ჩემ თავად დიდს მადლობას მოგახსენებთ ამ გადამეტებული პატივისცემისათვის. ღმერთსა ვთხოვ, გიხსნათ თქვენ, აქაური ქართველობა იმ საშინელი განსაცდელისაგან, რომელიც მე სულითამხუთსავით თვალთ ამეტუზა, როცა აქაურობა დავიარე და დავათვალიერე“.

ამ სიტყვის მხოლოდ ზემოთ მოტანილმა ნაწყვეტმა მოაღწია ჩვენამდე. იგი ჩაუწერია „ივერიის“ კორესპონდენტს ნესტორ კალანდაძეს, რომელიც პრესაში „კოლოს“ ფსევდონიმით თანამშრომლობდა.

ილია ჭავჭავაძის ზემოთ აღნიშნული შვიდი სანადიმო სიტყვა-სადღეგრძელო არ შესულა პოეტის დღემდე გამოქვეყნებულ არც ერთ კრებულში. ისინი გაბნეულია ძველ პრესაში და მათი ჩაწერა ითავეს მაშინდელმა კორესპონდენტებმა. ვფიქრობთ, ეს სიტყვა-სადღეგრძელოები საპატიო ადგილს დაიკავებენ დიდი ილიას თხზულებათა აკადემიურ ოცტომეულში.

გიორგი ჯაჯანიძე

ეს ჩვენი ისტორიაა



## უნიკალური გამოცემა

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგმა“ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა სახელოვანი ქართველი მეცნიერის ვახუშტი ბაგრატიონის რუკათა პირველი ატლასის ძირითადი რუკის ფოტო-პირი, რომელზედაც სრულიად საქართველო და მისი მეზობელი ქვეყნებია გამოხაზული. აქვე, რუკის ზემოთ, გადაღებულია ვახუშტის მიერვე დართული სრულიად საქართველოს და გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს სამეფო-სამთავროების სახელმწიფო დროშები. ძალზე მოსახერხებელია, რომ რუკის ფაქსიმილეს წაკითხვის გასაადვილებლად გამომცემლებმა დაურთეს ქართულ და ინგლისურ ენებზე შედგენილი რუკები, რომლებზეც ვახუშტის რუკის მონაცემები თანამედროვე კარტოგრაფიულ საფუძველზეა გადმოცემული.

ვახუშტის რუკის ფაქსიმილეს გამოცემით გამომცემლობა „სარანგმა„ ქართველ საზოგადოებას დიდი საჩუქარი უძღვნა. ამით მან ქართველ ხალხს დაუბრუნა თავისი დიდებული წინაპრის მეცნიერული მემკვიდრეობის ერთი ნაწილი, რომელიც 250 წლის განმავლობაში მისთვის ფაქტობრივად უცნობი იყო. ეჭვგარეშეა, რომ 1735 წელს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ გამოხაზული სრულიად საქართველოს რუკა დაამშვენებს თითოეული ქართველის ოჯახს.

# როგორ ვიცავთ ადამიანის უფლებებს

## ავთანდილ იმნაძე



თუ თვალს გადავავლებთ კაცობრიობის ისტორიას, დავინახავთ, რომ ადამიანთა ზნეობა იმავე დონეზეა, როგორც იყო უხსოვარ დროში. ფორმაცია ფორმაციას ცვლის, მეფე — მეფეს, პრეზიდენტი — პრეზიდენტს, იცვლებიან სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, წყობა, მაგრამ არ იცვლებიან ადამიანები. სცოდავდნენ, სცოდავენ და კვლავაც შესცოდავენ, სანამ იარსებებს ქვეყნად ადამიანი (რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს საზოგადოების საშუალო დონე).

ყველასათვისაა ცნობილი ბიბლიური შემეცნების ხის (ვაშლის ხის) ნაყოფის ისტორია. შემოქმედმა აუკრძალა ადამსა და ევას ამ ხის ნაყოფის ჭამა, მაგრამ არსად არა ჩანს, რომ ეს აკრძალვა სამუდამო იყო. ღმერთს სურდა, რომ ადამიანები ზნეობრივად ამაღლებულიყვნენ ისეთ დონემდე, რომ ის შემეცნება, რომელსაც ისინი დაეწაფებოდნენ აკრძალული ხის ნაყოფის მეშვეობით, კეთილი საქმისათვის გამოეყენებინათ, მაგრამ ისინი ეშმაკმა აცდუნათ და შემეცნების ხის ნაყოფს ეზიარნენ მანამ, სანამ ზნეობრივად სათანადო სიმაღლეზე დადგებოდნენ. აქედან მოყოლებული ადამიანთა შემეცნება ყოველთვის გაცილებით მაღლა დგას მათს ზნეობასთან შედარებით. გამოიგონა ადამიანმა ქვის იარაღი, იმის ნაცვლად, რომ დაემუშავებინა მიწა, მყისვე ურთიერთდასახოცად იხმარა იგი. გამოიგონა ლითონის იარაღი, კვლავ ურთიერთდასახოცად და დასამონებლად მიმართა. გამოიგონა დენთი, იმის მაგივრად, რომ მისი ენერგია ცხოვრების [...]

[...] პარიზი, კოპენჰაგენი და სხვა შეხვედრები თავისი ხელშეკრულებებითა და დასკვნითი აქტებით. დღეს ადამიანის უფლებათა დაცვა ნებისმიერი ქვეყნისათვის არის ის აუცილებელი პირობა, რის გარეშეც სახელმწიფო ვერ იარსებებს მსოფლიოს სახელმწიფოთა და ერთა თანამეგობრობაში. უბრალოდ მასთან არავინ არ დაამყარებს არავითარ ურთიერთობას, როგორც არასაიმედო პარტნიორთან. დღეს მსოფლიოში ვერ ნახავთ სახელმწიფოს, რომელსაც დემოკრატიულობის პრეტენზია ჰქონდეს და არ მოქმედებდეს იქ ადამიანის უფლებათა დაცვის როგორც საზოგადოებრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და ჯგუფები, ასევე სამთავრობო საპარლამენტო კომიტეტები ან კომისიები. როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრიობა განვითარებად ჩამოყალიბებულ ქვეყნებისათვის ეკონომიკური [...] ხმარებისა, უპირველესად [...] იცავს თუ არა ეს ქვეყანა ადამიანის უფლებებს.

როდესაც ჩვენ არჩევნებში ვიმარჯვეთ და გამოვაცხადეთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ჩვენს პარლამენტში ადამიანის უფლებათა [...] კომისია სოციალურ და [...] რულ საკითხთა მუდმივ[...] ში ქვეკომისიის სახით [...] ლი, ჩავთვალე, რომ [...] ლი იყო ამ კომისიას [...] უფრო მაღალი, მუდმივ[...] სტატუსი და ამ წინადა[...] მართე უზენაესი საბჭოს [...] დომარეს ბატონ ზვიად [...] დიას. საკითხი სესიაზე [...] ნეთ და დადებითად გა[...] სიამ კომისიის თავმჯდ[...] ამირჩია. მიუხედავად [...] კომისიას მუშაობის ელ[...] ლი პირობები არ გააჩ[...] თვის მანძილზე ორ პა[...] ში ვიმყოფებოდით), მ[...] ფიერად იმუშავა, ბევრ[...] როტო საკითხი გადაწ[...] რამ უნდა ითქვას, რ[...] ვერ გააკეთა. ადვილია [...] ძება, ყველაფრის [...] შეიძლება, მაგრამ ამ [...] ვიტყვი ერთს, ჩვენში [...] ბით კანონი სათანად[...] ამოქმედებული არ არ[...]

[...] ვჩნდი საპარლამენტო ოპოზიციაში. მაგრამ აღვნიშნავ მთავარს: 2 სექტემბერს ხელისუფლებამ უხეში ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დაარბია მშვიდობიანი მიტინგი რუსთაველის მოედანზე, ქართველის მიერ დაიღვარა ქართველის სისხლი. ასეთი მიტინგები მანამდე (და მერეც) ბევრი ჩატარებულა და თითქოს არავითარ ტრაგედიას და საშინელებას არ წარმოადგენდა. ამიტომაც ამან ჩემი გაოგნება გამოიწვია. რამდენჯერმე გამოვთქვი აზრი პრეზიდიუმის თუ მრგვალი მაგიდის სხდომაზე. მოვითხოვდი გარკვეულიყო და დასჯილიყო ის, ვინც გასცა სროლის ბრძანება და საერთოდ ვინც მიიყვანა იქ კბილებამდე შეიარაღებული ე. წ. „ომონი“ (სხვათა შორის ამაში სხვებთან ერთად მხარს ბატონი ნემო ბურჭულაძეც მიჭერდა). როდესაც ჩემს მოთხოვნას არა თუ ყური არავინ ათხოვა, არამედ ამას [...]

## ზაურ ქობალია



კაცობრიობის ისტორიაში უამრავი დიქტატურა და დიქტატორია ცნობილი, დიქტატორის უკან ყოველთვის თვლემს იმპერიული ზრახვები, მაგრამ ამავე დროს კაცობრიობის ისტორიაში პარალელურად ვითარდებოდა დემოკრატიული აზროვნება, სწრაფვა პიროვნების თავისუფ[...]

[...] მოგვიტანა 28 ოქტომბრის არჩევნებმა. 1976 წელს საქართველოში შეიქმნა ჰელსინკის ჯგუფი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში თვითგამორკვევის საერთაშორისო იდეებს.

ბატონ ზვიად გამსახურდიას და სულმნათ მერაბის ხელმძღვანელობით ამ ჯგუფმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენს ეროვნულ მოძრაობაში. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმის გამოც, რომ, როდესაც ეროვნული მოძრაობა იცავს საერთაშორისო პრინციპებს და პოლიტიკური ბრძოლის ხერხები ეტევა საერთაშორისოდ მიღებულ ნორმებში, იგი ითვლება კანონიერად და მიზნის მისაღწევად უფრო მეტი შესაძლებლობა გააჩნია. 28 ოქტომბერს, სწორედ ცივილიზებულ მსოფლიოში მიღებული დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნებით გაიმარჯვა ეროვნუ[...]

[...] ში მთავარია მოიხსნას შიდა წინააღმდეგობები, ხოლო პირველმა და მესამემ, შეიძლება ერთმანეთი დააბალანსოს.

რაც შეეხება ჩვენს საპარლამენტო მუდმივმოქმედ კომისიას, მისი ფუნქციები ძირითადად განისაზღვრება საკანონმდებლო მოღვაწეობით. ჩვენი ხელისუფლების პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაა. ამისათვის საჭიროა პარლამენტის ინტენსიური მუშაობა კონსტიტუციურ საკანონმდებლო აქტებზე, რომლებიც განამტკიცებენ ადამიანის უფლებებს საერთაშორისო ნორმების მიხედვით. ყველა კანონპროექტმა, რომლებიც მუშავდება სხვადასხვა საპარლამენტო კომისიებში, ჩვენთან უნდა გაიაროს შემოწმება საერთაშორისო სამართლის ექსპერტების დონეზე. ჩვენი კომისია საკანონმდებლო აქტებით უზრუნველყოფს საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას საერთაშორისო ნორმების მიხედვით. დაცული იქნება მათი მოქალაქეობრივი უფლ[...]

[...]

# ლადო აღნიაშვილის ქართული ხორო

ქართული კულტურის ისტორიაში ლადო აღნიაშვილი ცნობილია როგორც საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ქართული პროფესიული გუნდის დამაარსებელი.

ლადო აღნიაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან ფასდაუდებელია მის მიერ ეროვნული სიმღერების აღდგენა და პირველი ქართული პროფესიული გუნდის ჩამოყალიბება.

როგორც იოსებ იმედაშვილი აღნიშნავს, ლადო აღნიაშვი[...]



[...] ლება და მერე გავრცელება“.

ლადო აღნიაშვილმა 1885 წელს დაიწყო გუნდის ჩამოყალიბება. იმ სამოცდაათი კაციდან, რომელიც მის მოწოდებას გამოეხმაურა, შეარჩია საუკეთესო მომღერლები. მუსიკის მასწავლებლად მოიწვია ჩეხი იოსებ რატილი, რომელსაც გუნდის მონაწილე თითო კაცზე თვეში თითო მანეთი მოუთხოვია, ამას გარდა ნოტებზე სიმღერების გადატანის საფასური და კონცერტის შემოსავლის მეოთხედი.

რატილი თურმე ძალიან გულმოდგინედ და დაუზარებლად შრომობდა. მართალია, ქართული არ ესმოდა, მაგრამ დაწყებას, მოძახილს და ბანს კარგად ახერხებდა... რეპეტიციები ლადო აღნიაშვილის ბინაზე იმართებოდა.

როგორც ლადო აღნიაშვილის თანამედროვეთა მოგონებებიდან ჩანს, მას დიდი სურვილი ჰქონდა პირველი კონცერტი 1885 წლის შემოდგომაზე გაემართა. ამიტომ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოიწვია ხალხური სიმღერების საუკეთესო შემსრულებლები და მათი სიმღერები ნოტებზე გადაიღო. პირველი კონცერტისათვის 100-მდე სიმღერა შეკრიბა, მაგრამ 1885 წლისათვის რატილმა კონცერტის გამართვა ვერ მოასწრო. გუნდი ჯერ კიდევ მოუმზადებელი იყო. გადაწყდა პირველი კონცერტი 1886 წლის 15 ნოემბერს ჩატარებულიყო.

კონცერტამდე ორი დღით ადრე, 1886 წლის 13 ნოემბერს გაზეთი „ივერია“ საზოგადოებას აუწყებდა: „შაბათს, 15 ნოემბერს არწრუნისეულ თეატრში ქართული კონცერტი იქნება გამართული. ქართული ხორო, რომელიც იმღერებს ამ კონცერტზე სხვადასხვა ქართულ ხმებს, შეუდგენია თავის მეცადინეობითა და მხნეობით ბატონს ვლ. აღნიაშვილს, ბატონი აღნიაშვილი მასწავლებელია ტფილისის კათოლიკეთა სკოლისა. ამ აღნიაშვილს შეუკრებია ყმაწვილიანი კაცნი და ერთის მუსიკის მცოდნესათვის, სახელდობრ ბატონს რატილისათვის უთხოვია ხელმძღვანელობა... ვუსურვებთ, რომ ქართული საზოგადოება დასწრებოდეს ამ კონცერტს და ამით გაემხნევებინოს ამ მეტად სასარგებლო საქმის დამწ[...]

[...] აღნიაშვილისა, რომელმაც ეს მართლა სახელოვანი საქმე იკისრა... არა ნაკლებ მადლობის ღირსია ბატონი რატილი, ეგ უცხო კაცი, რომელმაც მოამზადა და გაწვრთნა იგი ხორო. მადლობელმა საზოგადოებამ იქავ თეატრში მოაგროვა ფული და საჩუქარი მიართვა ბატონ რატილს. ძახილს და ტაშისცემას ბოლო არა ჰქონდა. სასურველია, რომ ამ დიდად სასიამოვნო საქმემ ხშირად გვასიამოვნოს ხოლმე ისე, როგორც შაბათს საღამოს გვასიამოვნა“ („ივერია“, 1886, № 250, № 251).

გუნდის შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა:

პირველი ტენორები: ლეო ცისკარიშვილი, ტატო ფეიქრიშვილი, გიორგი ჩაგუნავა, კორნელი მაღრაძე, ნიკოლოზ ჩახნაევი, ია კარგარეთელი, ვასო ბაგრატიონი, კოტე დვალი.

მეორე ტენორები: სერგო მამალაძე, სიკო აღნიაშვილი, გრიგოლ ჭკუასელი, კოტე კუხიანიძე, ალექსი მათურელი, როსტომ ჩიკვაიძე, ბოლოტოვი.

პირველი ბასები: სანდრო გოცირიძე, საშა ბერიძე, ბასილაშვილი, მათე იანქოშვილი, მიხეილ ავალიანი, მოსე კაპანაძე, სოსო ჩიჯავაძე, ექვთიმე ბურჯანაძე.

მეორე ბასები: ნიკოლოზ წინამძღვრიშვილი, წიკლაური, ევსევი ბაბილუა, ჩიჩუა, კლიმენტი ჰანტურია, იოსებ ჩირაკაძე, აპოლონ გოდერძიშვილი, ლავრენტი მათიკაშვილი, დავით გაგუნოვი.

გუნდის რეპერტუარში იყო: „ოდილია“, „ჭონა“, „ნანინა“, „ალილო“, „ზამთარიო“, „მამითადი“, „ბედნიერა“, [...]



[...] 1889 წ[...]

# ხორო



მზია ქუცნიაშვილი,
საქართველოს კინოფოტოფონო დოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის განყოფილების გამგე.

სურათებზე: ლადო აღნიაშვილი; ქართული ხოროს წევრები: სხედან ლადო აღნიაშვილი და იოსებ რატილი; იოსებ რატილი თავის ცოლ-შვილთან ერთად თბილისში, კიევის ქუჩაზე მდებარე საკუთარი სახლის აივანზე.

## სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის დარბაზის წევრთა და სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის წევრების განცხადება

ამა წლის 19 ოქტომბრის გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა და ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემა „მოამბეში“ ორგზის გადაიცა (28, 29 X), სრულიად საქართველოს მიწათ[...] ბისა, გვსურს ფართო საზოგადოებრიობა გავარკვიოთ საქმის რეალურ ვითარებაში, რაც გამოიხატება შემდეგში:

1) სრულიად საქართველოს მეწათმოქმედთა კავშირს არ ჰყავს [...]

[...] თიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის დაშლა. რა [...]ებით? უნდა იცოდეთ, რომ [...]ლიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის ლიკვიდაცია [...]ლება განხორციელდეს კავშირის [...]აგანგებო ყრილობაზე წევრთა [...]ვლესობის გადაწყვეტილებით.

[...]ლვა ჩაგუნავა, ბიძინა მელა[...] ომარ კობახიძე, კახი კვირი[...]შვილი, ვახიკო იკობრეიძე, ხო[...]ამონ ბასილიძე, ნუნუ თევ[...]ე, ლუბა ონაშვილი, ნაირა [...]ტანგიშვილი, ხათუნა ფრუი[...] გერონტი ფიროსმანიშვილი, [...]ივან შეყლაშვილი, ნატა ვა[...]ტოვა, ნოდარ ბადური, ხევე[...]ნე თურქია, ნინო ლვინაძე, [...] ბუჭიაშვილი, ალექსანდრე [...]რქაშვილი, ბადრი მამუჩა[...]ლი, თემურ მახათაძე, პაატა [...]ოთიძე, რ. გიორგობიანი, [...]ვით ცაგურიშვილი, შოთა ბა[...]დურაშვილი, ეკა ცუცქირიძე, [...]მარა შიპარიშვილი, ლამარა [...]ლიხოძე, ვალერი გოგიშვილი, [...]ლი თურმანიძე, თამარ მშვე[...]ირაძე, გურამ სოხელია.

[...]ნცხადება იბეჭდება შემოკლე[...]

[...] ითვისა პროფესორმა რამინ რამიშვილმა და მიუხედავად მრავალგზისი შეხსენებისა, დღესაც არ დაუბრუნებია პატრონისათვის.

ბატონებო, თქვენ გსურთ [...]ბით.


**უურადღება**

კოოპერატივი „იურისტი“ აცხადებს აბიტურიენტის მიღებას საქართველოს სახელმწიფო და სამართლის საფუძვლებში მოსამზადებლად.
მისამართი: თბილისი, ბახტრიონის 12,
ტელეფონი: 37-13-06.


# მადლობა

ეს წერილი მილიციის მუშაკთა გულისხმიერებისათვის მადლობის გადახდის სურვილმა დამაწერინა. რა დასამალია და, კარგა ხანია ამ პროფესიის ადამიანებს მაინცდამაინც დიდი ნდობით აღარ ვეკიდებით. ამას წინათ ღამეს მშობლებთან ვათევდი, როდესაც მოულოდნელად ჩემმა (ვცხოვრობ ვაზისუბნის დასახლებაში, ერთოთახიან ბინაში) შეშფოთებულმა მეზობლებმა მომაკითხეს, — ქურდებმა ბინა გაგიტეხესო. ადგილზე მისულმა ვნახე, რომ მილიციის თანამშრომლებმა, უფროსმა ლეიტენანტმა გივი კუპრაშვილმა და სერჟანტმა ტარიელ გიორგობიანმა დააკავეს ქურდები, რომლებიც ჩემს ბინაში ფანჯრიდან გადამძვრალიყვნენ. კანონის დამცველებს მათ წინააღმდეგობა გაუწიეს. ამ არეულობაში უფროსი ლეიტენანტი გივი კუპრაშვილი დაჭრეს. შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად გაჩნდნენ ისნის რაიონის სისხლის სამძებროს უფროსი თემურ მღებრიშვილი, პირველი ქვეგანყოფილების უფროსი თამაზ ბიჭაშვილი, მილიციის კაპიტანი ვაჟა მიხანაშვილი, გამომძიებლები — მუსა დურგლიშვილი და ალეკო ჯიბლაძე. ყველას მათ მადლობა მინდა გადავუხადო.

ნანა ხახვიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სრულიად სერიოზული თემა

# გზააბნეული ზურიკელა,
## ანუ დიპლომების ზეიმი

მას შემდეგ, რაც ზურიკელამ სიმწიფის ატესტატი აიღო, დღის წესრიგში უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების საკითხი დადგა.

ამიტომაც შეიკრიბა საბჭო — ზურიკელას, ოლღა ბებიას, ილიკოსა და ილარიონის შემადგენლობით. ოთხთა თათბირმა დემოკრატიულ ვითარებაში ჩაიარა, ე.ი.ოთხივეს მიეცა აზრის გამოთქმის საშუალება.

ოლღა ბებია: „ჩემი შვილი ექიმი უნდა გამოვიდეს“.

ილიკო: „იქნებ ლიტერატურულზე შესულიყო“.

ილარიონი: „იურისტობა ჯობია“.

თავად ზურიკელა: „მე საარტისტოზე მინდა“.

მაგრამ, ოლღა ბებიას აზრით, ვინაიდან „არტისტები“ მრავალცოლიანები არიან, ზურიკელას წინადადება არ მიიღეს.

სამაგიეროდ, საღი აზრის გათვალისწინებით გადაწყვიტეს — ზურიკელა სწავლას ეკონომიკურზე გააგრძელებდა. მთავარ გმირს არაფერი ეთქმოდა, რადგან კარგად უწყოდა: „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“. ამასთან, განაგონიც ჰქონდა — „ვინც ისწავლის ვეფხვიაო, ვინც არა და ნეხვიაო“.

სიბრძნეთა ურთიერთშეჯერების შედეგად ზურიკელამ თბილისს მიაშურა; მიამიტმა სოფლელმა ბიჭმა არც კი იცოდა, რომ ჩემოდანი მარტოოდენ ლოგინის ქვეშ დასადებად არ გამოუგონია ვიღაც ჰკვიანს,არ იცოდა, რადგან ხსენებულ დროს სასწავლებლად მიმავალს ფულის ჩემოდნით ტარება არ უხდებოდა, არ იყო... ფასიანი სასწავლებლები და ამიტომაც.

აძლევდა თუ არა ხელს ზურიკელას ფასიან სასწავლებელში შესვლა, თავად ეცოდინებოდა.

მაგრამ, ჩემი აზრით, ხელს აძლევდა, თუ, რა თქმა უნდა, გავითვალისწინებთ როგორ სწავლობდა სკოლაში. ეს ჩემი აზრით, თორემ ზურიკელასიმდენი ჭკუა კი ჰქონდა, რომ სახელმწიფო სასწავლებელში შეეტანა საბუთები, ემეცადინა და ისე ჩარიცხულიყო, რადგან „სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი“.

ამ საქმეში ერთმა არსებითმა მომენტმაც ითამაშა დიდი როლი — ოლღა ბებიას, ილიკოს და ილარიონს მთელი ქონება რომ გაეყიდათ ფაქიზოს ჩათვლით, იმდენს მაინც ვერ დააგროვებდნენ, ახალგაზრდა ფასიანზე რომ შეეყვანათ.

არა, მაინც კარგ დროს მოუწიათ ცხოვრება ჩვენს საყვარელ გმირებს!

თბილისში ფასიანი სასწავლებლების „ზეიმია“, ისევე, როგორც „თავის დროზე“ კომერციული მაღაზიებისა.

„ფასიანების“ დევიზია — „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი“...

დევიზის შინაარსი ადვილად ამოიკითხება პრესაში გამოქვეყნებულ მათსავე განცხადებებში.

„ჯერ მწარე ჭამე“ — ე.ი.ჯერ ფული გადაიხადე. ალბათ, დამერწმუნებით, პატიოსანი ოჯახისთვის ის თანხები, რასაც „განცხადებები“ „გვთავაზობენ“, მართლაც რომ, მწარეს ჭამაა.

„კვლავ ტკბილი“ — იმავე „განცხადებებიდან“ ირკვევა, საკმარისია მხოლოდ „მწარეს ჭამა“ და სტუდენტობა ხელთ გაქვთ. ჰა-ჰა, „მიმღებმა კომისიამ“ გკითხოთ — როგორ ხართო, რომელ ენებს ფლობთო — ანუ „გაგესაუბრონ“; თქვენც უპასუხებთ და ყოველგვარი ტვინის ჭყლეტის, რეპეტიტორის, სწავლისა და მისაღები გამოცდების გარეშე, მხოლოდ „მწარეს ჭამით“ მოიპოვებთ სტუდენტობას. ამაზე ტკბილი რა უნდა იყოს?

ჩვენებური ხასიათიც ხომ მოგეხსენებათ — მავანმა და მავანმა შვილი ფულით უგამოცდოდ ჩარიცხა, მერა, რითი ვარ ნაკლებიო. ზოგისთვის პრესტიჟულიც კი შეიქმნა თქმა — ჩემი შვილი ფასიანზე სწავლობსო, ამით „შეფარულად“ ხაზს უსვამს — აი, რამდენი შემიძლიაო, თავისი ჭკუით მეზობლებსა და ახლობლებს „თვალს უბნელებს“ და ძალზე კმაყოფილიცაა.

ასე და ამრიგად, მთელი საქართველო „ფასიანებს“ მოაწყდა. დაცარიელდა რაიონები, სოფლები, დაბები, მთები და ველები; სამაგიეროდ, „შეივსო და შეივსო“ თბილისი.

არც გაემტყუნებათ პროვინციის ახალგაზრდობას — სიმინდის ლეწვას რუსთაველის გამზირზე ხეტიალი ჯობია, ხოლო სოფლის გაყინულ კლუბში წივილკივილიანი ინდური ფილმების ცქერას — ვიდეო სალონებში სიარული; თანაც ყველა ზურიკელა როდია, სოფელს დაუბრუნდეს.

თბილისმა საკუთარი სახე დაკარგა, სოფელმა საკუთარი.

ახლა ვხვდები, ტყუილად კი არ ამბობდნენ „წითელი ეშმაკუნები“, კომუნიზმი კავკასიონს მოადგაო; მოადგა კიდეც და განათლების სისტემაშიც შეინავარდა — სული და გული, რაც გინდა გახსენი, როგორც მოგეხასიათება, ისეთი ფასი დაადე.

ნურვინ გამიგებს ისე, თითქოს ფასიანი სასწავლებლების წინააღმდეგი ვიყო საერთოდ, მაგრამ, ზოგიერთებისაგან განსხვავებით მიმაჩნია — თუ ეროვნულ ინტერესებზეა საუბარი, საქართველოს ნამდვილად არ ესაჭიროება ამდენი იურისტი, ეკონომისტი, ინჟინერი, ფილოლოგი... ბოლოს და ბოლოს, „ვინმემ“ ხომ უნდა იმუშაოს სოფლად მიწაზე.

ფასიანი სასწავლებელი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როცა მისი პროფილი ორიგინალურია, როცა იგი ზრდის კადრებს, რომელთა ნაკლებობას განიცდის რესპუბლიკა. თანაც, არც ისე საამაყოდ გვაქვს საქმე, რადგან სინამდვილეში არც თუ ბევრია შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა; ამ „არც თუ ბევრში“ კი დიდია კორუმპირებულთა რაოდენობა, რომელთა მოღვაწეობა „ფასიანებში“ კიდევ უფრო გააძლიერებს მათ მიზიდულობას „ხელის ჭუჭყის“ მიმართ.

პრივატიზაციისა და კერძო საკუთრების პირობებში მოსალოდნელია მასობრივი უმუშევრობა; საინტერესოა, რას ვუპირებთ ამდენ დიპლომიანს: რატომ ვუბნევთ ახალგაზრდობას გზა-კვალს? ნურც თავს მოვიტყუებთ — წავლენ და მიწას შეეჭიდებიანო. არა ბატონებო, „მწარეს ჭამით“ მიღებულ დიპლომებს ნამდვილად არ გაცვლიან თოხსა და ბარზე. „ფასიანების“ უმრავლესობა მოქმედებს ერთადერთი პრინციპით — მიყვარს სმა და მიყვარს ჭამა!

სმა და ჭამა ვის არ უყვარს, კარგ ცხოვრებას რა ჯობია, მაგრამ არა განათლების ხარჯზე, არა საქართველოს მომავლის დაღუპვის გზით.

„ლუკმა მაშინ არის ტკბილი, როცა კაი კაცობითაა ნაშოვნი“ — ბრძანებს ილია; მოდით, ახლადნაშობნო რექტორებო და რექტორატებო, სანამ დროა თავად განვსაზღვროთ, რა არის ჩვენთვის „კაი კაცობა“ და რა ცუდი კაცობა, თორემ ხვალინდელი დღე ყველას გამოუტანს მკაცრ განაჩენს.

ისევ ილიას მოვუსმინოთ — „სწავლა, ცოდნა, მეცნიერება — ღონეა მისთანა, რომელსაც დღეს წინ ვერაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე“.

ჩვენ კი, როცა საქართველოს მუშტიც ემუქრება, ხმალიც და ჯართა სიმრავლეც, სწორედ ახლა გავაუფასურეთ სწავლაც, ცოდნაც, მეცნიერებაც.

ფასიანი „უნივერსიტეტების“ „წყალობით“ უფასურდება ივ.ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სახელიც და დანიშნულებაც!

თუმცა, „ფასიანების“ სოკოსებრივით მომრავლებას აქვს დადებითი მხარეც — აწი ველარ ვიხილავთ მისაღებ გამოცდებზე ჩაჭრილ, „დაჩაგრულ“ აბიტურიენტებს ლოზუნგით — „მიეცით ნიჭსა გზა ფართო“-ო, ამ „გზას“ აწი „ფასიანები“ იძლევიან.

ერთის მხრივ — ნუ იქნება ოღონდ ბუნტი!

მეორეს მხრივ — ოღონდ იყოს ფული!

მაინც კარგ დროს მოუწიათ ცხოვრება ნ.დუმბაძის პოპულარულ გმირებს, თორემ ამდენი სასწავლებლის შემხედვარე, ნახსენები საბჭო — ზურიკელას, ოლღა ბებიას, ილიკოსა და ილარიონის შემადგენლობით,ნამდვილად ვერ გამოიტანდა ერთადერთ და ჭეშმარიტ აზრს.

და ვიხილავდით გზააბნეულ ზურიკელას „ფასიანების“ გარემოცვაში.

ბელა ქობაშაძიძე,
ასოციაცია „ამაღლების“ თავმჯდომარე

სრულიად სერიოზული თემა

### „ახლოით მჩხრეკელი“

# ქართული ფულის საკითხისათვის

დამოუკიდებელი ფულადი სისტემა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ატრიბუტული ნიშანია. სულ ცოტა ხნის წინათ ეროვნული ვალუტის შექმნის იდეა საქართველოში ზოგს შორეულ ოცნებად ეჩვენებოდა. მაგრამ დღეს, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ეს საკითხი მომწიფდა და დღის წესრიგში დადგა, რის შესახებაც თავის პრეს-კონფერენციაზე განაცხადა ამჟერად უკვე იურიდიულად დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ. ამ საკითხთან დაკავშირებით პრესის ფურცლებზე იმბეჭდება სჯა-ბაასი, ქვეყნდება სტატიები, მაგრამ კამათი უპირველეს ყოვლისა მიმდინარეობს იმის შესახებ, თუ რა უნდა ეწოდოს ქართული ფულის ერთეულს. ჩემი აზრით, არანაკლები პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს 1918-1921 წლების დამოუკიდებელ საქართველოში ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების ისტორიულ გამოცდილებას, რათა თავიდან იქნას აცილებული მაშინდელ ხელისუფალთა შეცდომები.

1918 წლისა და დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველოს წინაშე არსებული პრობლემები ერთტიპიურია, თუმცა 1918 წლის საქართველოს მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო იმით, რომ მაშინ ფაქტიური დამოუკიდებლობა (დე-ფაქტო) წინ უსწრებდა იურიდიულს (დე-იურე), ხოლო დღეს კი, პირიქით, საქართველო იურიდიულად დამოუკიდებელია, მაგრამ „დე ფაქტო“-სათვის ჯერ კიდევ დიდი ბრძოლაა საჭირო.

უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წლისათვის საქართველოში მიმოიქცეოდა სამი სახის ქაღალდის ფული: „ნიკოლოზის“, ანუ „მეფის“, „რომანოვების“ ქაღალდის ფულის ნიშნები ე.წ. „კერენსკის“ ფული დაამიერკავკასიის კომისარიატის ბონები. საინტერესო ისაა, რომ ყველა ეს ფულის ნიშანი გამოშვებული იყო რუკიდან გამქრალი სახელმწიფოებისათვის და ყველა მისი გამომშვები მთავრობა იმ დროისათვის აღარ არსებობდა. ფულის ეს ნიშნები ერთნაირად იყვნენ მოკლებულნი ყოველგვარ უზრუნველყოფას და ყველა ერთნაირად იყო მოკლებული რაიმე რეალურ ფასეულობას. თუმცა, მათ შორის „ნიკოლოზის“ ფული უფრო მეტი ნდობით სარგებლობდა მოსახლეობაში. მაგალითად, იყო დრო, როცა რუსი მოსახლეობის ჩრდილოეთისაკენ მასობრივმა გადასვლამ „რუსული ფულის“ გაძლიერებული მოთხოვნილება გამოიწვია. თბილისში 100 რუსულ მანეთზე იხდიდნენ 110-120 ბონს, მცხეთაში 120-150 ბონს; ხოლო სადგურ ლარსში (საქართველოს საზღვარზე) 200 ბონსაც კი.

ფინანსური ქაოსი გამოიწვია რუსეთის მთავრობის მიერ, საქართველოს მეურნეობის ისე წარმართვამ, რომ საქართველოში თავისი თავის სარჩენი სახსრები არ ყოფილიყო. ე.ი.რუსეთის იმპერიაში ჩამოყალიბებული მეურნეობა საქართველოში, ეკონომიკური თვალსაზრისით, ცალკე არსებობის საშუალებას არ იძლეოდა (რაც ძალიან ჰგავს დღევანდელ ჩვენს მდგომარეობას).

საქართველოს ფინანსური კრიზისიდან გამოსვლას ართულებდა ისიც, რომ საქართველოს არ ჰყავდა სახელმწიფოებრიობის წარმართვისათვის მომზადებული პირები, არ ჰყავდა ემისიის საკითხების, საგარეო ვაჭრობის საქმის მცოდნე და სხვა სპეციალისტები. საქართველოს მთავრობას სამოქმედოდ არ ჰქონდა ერთიანი საფინანსო-საკრედიტო კონცეფცია. დაიწყო გამოსავლის ინტენსიური ძიება.

ფულის პრობლემებთან დაკავშირებით ძირითადად სამი თვალსაზრისი იყო გაბატონებული. ერთნი მოითხოვდნენ საქართველოსათვის საკუთარი ფულის ნიშნების დაუყოვნებლივ გამოშვებას. მათი აზრით, იმ ამოცანებს შორის, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მემკვიდრეობით მიიღო ამიერკავკასიის მთავრობისაგან, ერთ-ერთი პირველი ადგილი ფულად სისტემის შექმნის ამოცანას ეკავა. ამ პოზიციის მომხრეებმა წამოაყენეს ეკონომიკური აქსიომა: „საქართველომ, რადაც არ უნდა დაუჯდეს, საფუძველი უნდა ჩაუყაროს საკუთარ ფულად მიმოქცევას — ამის გარეშე ჩვენს ფინანსებსა და სახალხო მეურნეობას დაღუპვა ელის“.

მეორე ჯგუფი თვლიდა, რომ საკუთარი ფულის გამოშვება არ იყო რეალური პოლიტიკა. „საკუთარი ფულადი სისტემის“ შექმნის იდეით გატაცება — არის ერთ-ერთი მიზეზი ჩვენი ფინანსური პოლიტიკის არასწორი მიმართულებისა“ „ფიქრობდნენ ამ თვალსაზრისის მომხრენი. იგი წარმოადგენს შენიღბულ „ფულის საბეჭდი მანქანის პოლიტიკას“, როცა მთავრობა ემისიის გზით ცდილობს ხარჯების დაფარვას. ამ პოზიციის მომხრენი რეკომენდაციას უწევდნენ ფულადი სისტემის მოგვარებას ფულადი ნიშნების შემოსავლის შეზღუდვით, საგადასახადო სისტემის სრულყოფით, სახელმწიფო მიწების გაყიდვითა და შემნახველი სალაროების ქსელის გახსნის გზით. ისინი არ უარყოფდნენ პერსპექტივაში ეროვნული ფულის გამოშვების აუცილებლობას, მაგრამ თვლიდნენ, რომ მარტო ფულის ნიშნები მდგომარეობას ვერ გამოასწორებს, რომ ესაა ეკონომიკური რომანტიზმი. მათი აზრით: პრობლემაა არა ფულადი ნიშნების სახეობაში, არამედ მის ხარისხში და უპირველესი საზრუნავია არა ახალი ფულის გამოშვება სახელმწიფოში, არამედ ფულადი მიმოქცევის გაჯანსაღება. მათი ეკონომიკური აქსიომა იყო: საქართველოს პერსპექტივაში უნდა ჰქონდეს საკუთარი ფული, მაგრამ „ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამეურნეო ცხოვრების ქაოსიდან წარმოშობილი სახელმწიფო შესძლებს გაიუმჯობესოს თავისი მდგომარეობა საკუთარ ფულად სისტემაზე დაუყოვნებლივ გადასვლის გზით“.

ფულადი ნიშნების გამოშვებასთან დაკავშირებული მესამე თვალსაზრისის მიხედვით შეიძლებოდა საქართველოსათვის, აზერბაიჯანისათვის, სომხეთისათვის და მთიელთა კავშირისათვის ერთი ფულის ნიშანი გამოშვებულიყო. ეს თვალსაზრისი ეყრდნობოდა 1919 წლის 26 მაისამდე არსებულ ეკონომიკურ აქსიომას, რომ „ამიერკავკასიამ უნდა შექმნას საკუთარი ფულადი სისტემა — უამისოდ მხარის ეკონომიკური კეთილდღეობა შეუძლებელია“. ამ თვალსაზრისის მომხრეთა აზრით ბონებთან დამოკიდებულება შეცვლილი იყო საქართველოს სასარგებლოდ, ვინაიდან „იზრდება ნდობა ამიერკავკასიულ ბონებზე“ (საწინააღმდეგოს აჩვენებს ის ფაქტი, რომ დღესაც კი ფულის გაუფასურებას სხვანაირად „ფულის გაბონებას“ უწოდებენ).

ერთიანი ფულის ნიშნის შემოღების მომხრენი ფიქრობდნენ, რომ „იმ ტერიტორიის გაფართოებას, სადაც უნდა „იაროს“ ერთმა და იმავე ფულადმა ნიშანმა უდიდესი ეკონომიკური და ფინანსური მნიშვნელობა აქვს ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ხალხებისათვის“. მათი აზრით, რაც უფრო ფართო იქნებოდა ტერიტორია, რომელზეც იმოქმედებდა მოცემული ფულადი ნიშანი, მით მეტი იქნებოდა მოთხოვნილება მასზე და შესაბამისად მით უფრო მყარი იქნებოდა მისი „კურსი“ და მოკავშირე ტერიტორიებს შორის საქონელგაცვლისასაც არ განიცდიდა მერყეობას. ერთიანი ფულადი ნიშნების შემოღებას არა მარტო მსხვილი ფინანსური და ეკონომიკური მნიშვნელობა ექნებოდა, არამედ იგი დიდ კულტურულ-პოლიტიკურ ზეგავლენასაც მოახდენდა მოკავშირე ქვეყნებზე. თუ მეზობელ სახელმწიფოთა შორის მიღებული იქნებოდა თანხმობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში, მაშინ მთლიანად აღიკვეთებოდა მათ შორის უთანხმოება და განხეთქილება.

ეს შეხედულებანი იმდროინდელი ეკონომიკური კავშირებით იყო წარმოშობილი, მაგრამ უტოპიურობის გამო განხორციელება არ ეწერა. სხვადასხვა სახელმწიფოში ერთი ქაღალდის ფულის ნიშანი ყოველთვის იქნება რეალური განსხვავების შემცვლელი, იმისდა მიხედვით თუ რა უზრუნველყოფა აქვს ამა თუ იმ რაოდენობის ქაღალდის ფულს მოცემულ სახელმწიფოში, (ზემოთქმულის ნათელი დადასტურებაა საბჭოთა მანეთის ბედიც სსრკ-ში).

ამგვარი პოზიციები არსებობდა დემოკრატიულ საქართველოში საკუთარ ფულად სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით. თუ რომელი იყო სწორი, ეს ისევ მომავლის სამსჯავროს საკითხია, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის იმჟამინდელმა მთავრობამ პირველი თვალსაზრისი ამჯობინა და 1921 წელს გამოუშვა ქართული ფული, რაც უდაოდ დიდი სახელმწიფოებრივი მოვლენა იყო.

დღევანდელობის თვალსაზრისით საჭიროა მეორე პოზიციის გათვალისწინებაც. მარტო ფული ეროვნულ სამოსში ჯერ კიდევ არ წყვეტს პრობლემას, თუ იგი ოქროს არ გამოანათებს სხვა ეროვნულ სამოსელში მყოფ ფულთან შედარებით. ამდენად, ალბათ, უპრიანია ეტაპობრივი ადაპტაციის გზით ეროვნული ფულის შექმნისაკენ სვლა.

ზვიად ვეშაპიძე,
თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შანსი შანსი შანსი

— ერთი ფულადი მოგება:
99000:33000 X 2 $\sqrt{10,24}$ = ?

— ოთხი მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი" АЗЛК (АДПМ-12М)

— ფერადი ტელევიზორები (კორეის ტელესკოპებით);

— უცხოური წარმოების ვიდეოფლეერი;

## „შანს-კოქტეილი"
## საშობაო სიურპრიზ-შოუ

ბატონებო და ქალბატონებო, გაზეთი „შანსი" გეპატიჟებათ საშობაო სიურპრიზ-შოუზე.
თქვენი და თქვენი შვილებისათვის „შანსი" ამზადებს დიდ სიურპრიზს:

— სიგარეტების „მარლბორო", „ვინსტონის", „კაბინეტის" და „მაგნას" ბლოკები;

— ბავარიული ლუდი ქილებით;

— ათი გოჭი;

— ათი ინდაური;

— ათი კილოგრამი ნიგოზი;

— ათი კილოგრამი ლობიო;

— სათამაშოების ათი კომპლექტი საახალწლო ნაძვისხისთვის;

— ათი „თოვლის ბაბუა";

— ასი ცალი ჩურჩხელა;

— ერთი ყუთი შამპანური!

ჩვენს საშობაო „შანს-კოქტეილ" სიურპრიზ-შოუ-ში მონაწილეობის უფლება ენიჭება მხოლოდ მას, ვისაც უყვარს ჩვენი გაზეთი და ამ სიყვარულს დაგვიდასტურებს ჩვენს გაზეთზე ერთი წლით ხელის მოწერით.

ამასთან დაგიკონკრეტებთ: სიურპრიზ-შოუში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ის, ვისაც გამოწერილი ექნება „შანსი" 14 ნოემბრიდან ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის წლევანდელი კომპანიის დასასრულამდე.

## შეგახსენებთ გაზეთ „შანსის" ინდექსს — 66636 და 1 წლით ხელმოწერის ფასს — 19 მან. 20 კაპ.

## გაგაცნობთ ჩვენს საშობაო სიურპრიზ-შოუში მონაწილეობის წესებს:

ამოჭერით ჩვენი იმპროვიზებული კონვერტი. უპასუხეთ მასში დასმულ შეკითხვებს. შეავსეთ თქვენი მონაცემები: გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი და გამოგვიგზავნეთ ფოსტით.

რედაქციაში შემოსული კონვერტები მიღებისთანავე გატარდება რეგისტრაციაში და თითოეულს დაესმება კონკრეტული ნომერი. შემდეგ, ამა წლის 25 დეკემბერს, 12 საათზე, დილმის ბავშვთა სახლში, საზოგადოების წარმომადგენელთა თანდასწრებით მოეწყობა თქვენს მიერ გამოგზავნილი იმპროვიზებული და ჩვენს მიერ რედაქციაში დანომრილი კონვერტების გათამაშება.

## აუცილებელი პირობა:

1. იმპროვიზებული კონვერტების საფოსტო დაზღვევა;
2. მოგებული ნივთის მისაღებად გაზეთ „შანსზე" ერთი წლით ხელმოწერის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.
3. მოგებული ავტომობილების ბედნიერი მფლობელები ვალდებულნი არიან ჩვენი გაზეთის რეკლამისათვის მთელი წლით დააწერონ ავტომობილს კარის მარჯვენა მხარეს ერთი სიტყვა — „შანსი" (წარწერის ზომა უნდა იყოს არანაკლებ 50 სანტიმეტრისა).

ჩვენი თხოვნაა:

„„შანს-კოქტეილ" სიურპრიზ-შოუ განკუთვნილია მხოლოდ „შანსის" მკითხველებისთვის. ვისაც არ უყვარს ჩვენი გაზეთი, ვთხოვთ, ამ შოუში მონაწილეობას ნუ მიიღებს!




კონვერტი
საშობაო სიურპრიზი

## ქველმოქმედთა საყურადღებოდ!

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს ახსოვს, შარშან გაზეთ „შანსის" რედაქციამ დილმის ბავშვთა სახლის ყველა აღსაზრდელს გაუხსნა შემნახველი ბანკის წიგნაკი და მათ სახელზე შეიტანა 100-100 მანეთი.

ბიზნესმენებს, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, ყველას ვისთვისაც მეცენატობა უცხო არ არის, ვთხოვთ, ბავშვების მიმართ გამოიჩინონ გულისხმიერება.

მოგაწვდით შემნახველი ბანკის ზემოთხსენებული წიგნაკების ნომრებს.

აქვე შეგახსენებთ: წიგნაკის ნომრებს ვაქვეყნებთ იმის გამო, რომ ბავშვთა სახლის მკვიდრი გოგო-ბიჭების სახელები და გვარები გასაიდუმლოებულია.

ჩვენი საკონტაქტო ტელეფონები: 93—32—86, 99—94—65, 93—38—52.

№ 11375, № 11373, № 11372, № 5870, № 11368, № 11374, № 11361, № 11441, № 11385, № 11360, № 11364, № 11382, № 11383, № 11381, № 11380, № 11378, № 11389, № 11390, № 11388, № 11392, № 11391, № 11409, № 11359, № 11358, № 11408, № 11405, № 11366, № 11365, № 11364, № 11363, № 11362, № 11403, № 11402, № 11401, № 11400, № 11399, № 11398, № 11397, № 11396, № 11395, № 11394, № 11393, № 11415, № 11414, № 11413, № 11412, № 11411, № 5886, № 5885, № 5880, № 5883, № 5878, № 11420, № 11424, № 11376, № 11379, № 11377, № 11370, № 11359, № 11367, № 11387, № 11410, № 11419, № 11416, № 11444, № 11404, № 11418, № 11422, № 11425, № 11427, № 11428, № 11429, № 11437, № 11438, № 11439, № 11440, № 11431, № 11430, № 11435, № 11436, № 11434, № 11433, № 11432, № 11442, № 11406, № 11407, № 11426, № 11423, № 11421, № 5881, № 5882, № 5885, № 5887, № 11357, № 11443, № 11371

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეგობრის ხსოვნას



წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი, დახვეწილი გემოვნების ლიტერატორი, მკვლევარი და პუბლიცისტი ანდრო მირიანაშვილი. კაცი შემკული მრავალი ღირსებებით, თაყვანისმცემელი ქართული ტრადიციებისა, სიკეთით აღსავსე და, რაც მთავარია, გამორჩეული მოყვასისადმი ერთგულებითა და თავდადებით.

თითქოს წინაპართა აჩრდილებმა მოუხმესო, ხიკვდილმა მშობლიურ სოფელ შილდაში მიაკითხა სალხალიამათს, გაცინებულს. წავიდა უხმოდ, უმტკივნეულოდ, ერთი კვნესაც არ წამოსცდენია.

ანდრო მირიანაშვილი მთელი თავისი ცხოვრებით, დაუღალავი შრომით, ფართო ერუდიციით ემსახურებოდა სამშობლოს ხაკეთილდღეოდ, იკვლევდა თანამედროვე ქართული ლიტერატურის პრობლემებს, მაგრამ მისთვის ახლობელი იყო ლიტერატურის ყველა სფერო, მისი გამოკვლევები, მრავალი პუბლიცისტური წერილები ყოველთვის იმსახურებდა ფართო საზოგადოების ყურადღებასა და პატივისცემას. თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მან ახალგაზრდობის აღზრდას მოახმარა, სხვადასხვა ინსტიტუტებში თეორიულ წრთვნასთან ერთად, ახალგაზრდობას უნერგავდა მამულის სიყვარულს და ტრადიციებისადმი ერთგულებას.

მისი ღირსება ვიწრო სპეციფიკურობით არ შემოიფარგლებოდა: ის იყო ნამდვილი მოქალაქე, უტყუარი მეგობარი, ყურადღებიანი ყველასადმი, ვინც მასთან რჩევისთვის მიდიოდა, კარგი მეოჯახე და კარგი მამა.

ხიკვდილმა შუა გზაზე მოუსწრო, კიდევ მრავალი ჩანაფიქრი, მრავალი კეთილი საქმე ელოდა მის მადლიან კალამსა და მარჯვენას. იმ კარგი მეზვრესავით, რომელიც მოსავლის აღებას ელოდება შემოდგომისას, ელოდა თავისი ნაამაგარის ხორცშესხმასა და კეთილ ნაყოფს, მაგრამ არ დასცალდა, ახლა ეს, მისი ცხოვრებით დამშვენებული ბაღი, თითქოს სევდიანად იმზირება, — კარგი მეზვრისა და მზრუნველის დაკარგვის გამო.

მაგალითი კარგი კაცის ცხოვრებისა, — იმხელა ძალაა ამა სოფლისათვის, რომ ის, ძეგლივით დაადგება ზოლმე ამ ქვეყნიდან წასული კაცის ხსოვნას. ანდრო მირიანაშვილის ხსოვნა კი მუდამ ტკივილიანი იქნება, სინანული და ბუნებისადმი წყრომა დაჰყვება ალბათ ყოველთვის მის მოგონებას, რადგანაც, თვითონ ის იყო კაცი, რომელმაც ღირსეულად ატარა ქართველის სახელი, თავდაუზოგავად ილვაწა, პატივს სცემდა სხვათა ხსოვნას და ამაგს. ოათა ნათელი მაგალითი ყოფილიყო სხვათათვის. საწუთრომ უდროოდ დაუსვა წერტილი ამ ალალ-მართალი კაცის ცხოვრებას.

მშვიდობით ძმაო და მეგობარო, ღირსეულო კაცო, უხმაუროდ და ზარზეიმების გარეშე განვლე შენი სავალი გზა. ერთი ხალხური ლექსისა არ იყოს:

„ნეტავ იმ წმინდა ტაძარსა,
სადაც შენ დაიმარხები“.

**მეგობართა სახელით** — ილო ალანია, გურამ ბარნოვი, ჯონდო ბარდაველიძე, ლილი გოგოხია, ნოდარ გურეშიძე, გურამ გვერდწითელი, ზენო დოხორჯგინიძე, შოთა ვაშაყმაძე, ზაალ იორდანიშვილი, მედეა კახიძე, ტარიელ კვანჭილაშვილი, ცოტნე კიკვიძე, გივი ლომაძე, გია მათიაშვილი, სილოვან ნარიმანიძე, შოთა ნიშნიანიძე, ალექსანდრე ონიანი, ალექსანდრე ფოცხიშვილი, შალვა საძაძე, ნუგზარ შავგულიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, ლევან ჭრელაშვილი, როდამ ჩარანიძე, მიხეილ ჩაჩუა, შალვა ჩიჩუა, სიმონ ბალახაძე.

## ილია თარხნიშვილი



გასულ სამშაბათს, 5 ნოემბერს, ტრაგიკულმა შემთხვევამ წაგვართვა შენი თავი. ვინ იფიქრებდა, დილით, ჯანმრთელი და მხიარული, ასეთი დიდი მიზნებითა და ოცნებებით აღსავსე, საღამოს შენი დაღუპვის შემზარავ ცნობას გავიგებდით.

რა ძნელი იყო ჩვენთვის, შენი მეგობრებისათვის, ძვირფასო იკა, ამ საშინელების დაჯერება, ნუთუ იმისათვის იბადება ადამიანი, რომ დაწყებული საქმე არ დაამთავრებინოს განგებამ, შენ ხომ ამდენი კარგის ხორცშესხმა გქონდა გადაწყვეტილი, რომელიც შენი საყვარელი საქართველოს შემდგომ აყვავებას, კეთილდღეობას უკავშირდებოდა.

ჩვენ ერთად გავიზარდეთ, ერთად ვსწავლობდით, ერთად ვოცნებობდით, მაგრამ ვაი, რომ ახლა გზის გაგრძელება უშენოდ მოგვიწევს.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ერთხანს მიწათმოწყობის საკოორდინაციო ცენტრში მუშაობდი, მუდამ გვემახსოვრება, როგორი თვალანთებული კიცხავდი იმათ, ვინც ხელს უწყობდა ქართული მიწების გაყიდვა-დატაცებას, მხოლოდ ქართველი გლეხი უნდა იყოსო ქართული მიწის ჭეშმარიტი ბატონ-პატრონი, თუ გვინდა სასურსათო პრობლემა აღარ გვქონდესო, იტყოდი ხოლმე.

გემშვიდობებით, ძვირფასო იკა, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის შენი საყვარელი თბილისის მიწა, ჩვენ კი გპირდებით, არასოდეს დაგივიწყოთ როგორც ჭეშმარიტი მეგობარი, რომელიც ასე დააკლდები ოჯახს, თითოეულ ჩვენგანს, თარხნიშვილების საგვარეულოს.

მეგობრები

## ეკონომიკა

### „ეჱ“

### იჩქარეთ გამოიწეროთ ჟურნალი „ეკონომიკა“!

1992 წლიდან ჟურნალი „ეკონომიკა“ (ადრე „ეკონომისტის“ სახელწოდებით) გამოიცემა განახლებული შინაარსით, მასში გაანალიზებული იქნება ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები, კერძოდ, როგორ ხორციელდება ჩვენში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა, საკუთრების ახალი ფორმების დამკვიდრება, აგრარული რეფორმის საფუძველზე აგროსამრეწველო კომპლექსის რეორგანიზაცია, მოქალაქეთა ჩაბმა კომერციულ საქმიანობაში და ა. შ.

ჟურნალი ფართო ადგილს დაუთმობს სადისკუსიო საკითხებს ბიზნესის სფეროში უცხოეთის გამოცდილების პროპაგანდას, საინფორმაციო სარეკლამო ხასიათის მასალებს და ა. შ.

გაცნობებთ, რომ თუ ჩვენს ჟურნალს გამოიწერთ, ერთი ეგზემპლარის ფასი იქნება 2 მანეთი (წლიური ხელისმოწერის ფასი — 24 მანეთი). ხოლო ღია ბაზარზე მისი თითოეული ნომრის ფასი 3 მანეთი იქნება. ამიტომ იჩქარეთ, გამოიწერეთ ჟურნალი „ეკონომიკა“.






## საექსკურსიო მოგზაურობის მოყვარულთ!

თუ გსურთ საინტერესო 2—3 დღიანი საექსკურსიო მოგზაურობა საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, თუ გსურთ ეწვიოთ რესპუბლიკის კურორტებს და გაეცნოთ საქართველოს ღირსშესანიშნაობებს, ისტორიულ ძეგლებს, შეგიძლიათ მიაკითხოთ საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ახალგაზრდული ტურიზმის გაერთიანებას. გაერთიანება ასევე გთავაზობთ საინტერესო მოგზაურობებს ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ქ.მოსკოვში, სანკ—პეტერბურგში, ქ.ლვოვში და სხვ.

მიიღება კოლექტიური შეკვეთები უმაღლესი სასწავლებლებიდან, სკოლებიდან და წარმოება— დაწესებულებებიდან. ანგარიშსწორება წარმოებს როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით. ჩვენს ორგანიზაციასთან მუდმივ თანამშრომლობაში მყოფ წარმოება—დაწესებულებებს შეღავათიან ფასებში შევთავაზებთ საგზურებს საზღვარგარეთის ქვეყნებში სამოგზაუროდ.

გაერთიანებაში უკვე დღეისათვის წარმოებს ბაკურიანის დასასვენებელი სახლის „მზიური ველის“ საგზურების რეალიზაცია მიმდინარე წლის დეკემბრის და 1992 წლის იანვარ—თებერვლისათვის.

ჩვენი მისამართია: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.80. ოთახი №210, 305 საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ახალგაზრდული ტურიზმის გაერთიანება. ტელ: 23—57—81

## ტურისტული მოგზაურობის მოყვარულთ!

თუ გსურთ საინტერესო, ეგზოტიკური მოგზაურობა, თუ გსურთ ეწვიოთ თქვენი ოცნების ქვეყნებს, შეგიძლიათ მიაკითხოთ საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ახალგაზრდული ტურიზმის გაერთიანებას. ამჯერად, ჩვენ შემოგთავაზებთ ხალისიან მოგზაურობებს:

ფინეთი (3 დღე) —დეკემბერი, 1992 წლის იანვარი
ფინეთი 2შვეცია (4 დღე) — დეკემბერი, 1992 წლის იანვარი
საბერძნეთი (5 დღე) —1992 წლის იანვარი
უნგრეთი (4 დღე) —დეკემბერი
პოლონეთი (3 დღე) — დეკემბერი

ჩვენი მისამართია: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.80 ოთახი №313, 305 საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ახალგაზრდული ტურიზმის გაერთიანება. ტელ: 23—57—81.

# ტრიოდე სიტყვა კონცერტის შემდეგ





ისეთი ხალხმრავლობა და აჟიოტაჟი, როგორიც 1 ნოემბერს დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე საკონცერტო დარბაზის წინ იყო, კარგახანია აღარ ახსოვს ჩვენს დედაქალაქს. ქართველი საზოგადოებრიობა დიდი ხნის განშორების შემდეგ ხვდებოდა შესანიშნავ მუსიკოსს ლექსო თორაძეს.

პოლიტიკური ცხოვრების გამძაფრების გამო შეჩერებული მუსიკალური ცხოვრება წამით ერთბაშად აფეთქდა.

გამახსენდა ს. რიხტერისა და ვ. კლაიბერნის კონცერტები, რომლებზედაც ასეთივე „ბრძოლა“ იყო საჭირო, დარბაზში რომ მოხვედრილიყავი.

პირველ განყოფილებაში საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა ჯ. კახიძის ხელმძღვანელობით შეასრულა პ. ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონია.

მეორე განყოფილება დაიწყო მქუხარე ტაშითა და ოვაციებით — ქართველი საზოგადოება ღირსეულად შეეგება თავის სახელოვან მამულიშვილს ლექსო თორაძეს.

საოცრად ბუნებრივი, სადა, უშუალო და მუსიკაზე უზომოდ შეყვარებული პიანისტი, ამავე დროს უაღრესად კორექტული, ტაქტიანი და ღრმად ერუდირებულია მუსიკალური ნაწარმოების ინტერპრეტაციის დროს. მისი ყოველი ფრაზა ღრმად გააზრებული, სულიერად განცდილი და გათავისებულია. ასე რომ, ს. პროკოფიევის მეორე საფორტეპიანო კონცერტი შემთხვევითი არ არის ლექსო თორაძის რეპერტუარში — ის დიდხანს და მიზანდასახულად მიდიოდა ამ კონცერტის შესრულების სრულყოფისაკენ.

პროკოფიევის კონცერტის შესრულება მიეძღვნა კომპოზიტორის საიუბილეო წელიწადს, რომელიც მთელს მუსიკალურ სამყაროში აღინიშნება კონცერტებით, სპექტაკლებით, ფესტივალებით.

დიდებული და არაჩვეულებრივად ლამაზი იყო კონცერტის პირველი ნაწილის პირველი ფრაზები — სინაზითა და მელოდიურობით, დახვეწილი ინტონაციური გამჭვირვალობითა და თბილი ჟღერადობით გამორჩეული მომაჯადოებელი „პიანო“. სოლისტი თითქოს წონის თვითეულ ბგერას, მისთვის ხომ ისინი ყველა მთავარია და მნიშვნელოვანი. ძირითადი თემის მოტივი რამდენჯერმე გაივლის პირველ ნაწილში და ყოველთვის იგრძნობა სიახლე, მდიდრული ინტონაციური და ნიუანსების მრავალფეროვნება.

გულში ჩამწვდომია და ძლიერი ემოციური ზემოქმედება აქვს მღელვარე შუა ნაწილს, შემდეგ კი ძირითადი თემის უნისონს ორკესტრთან.

ბრწყინვალედ ასრულებს პიანისტი მეორე ნაწილის „სკერცოს“. საოცარია სინქრონულობა, მძაფრია რიტმი, მოხდენილი ჟღერადობა, მსუბუქი პასაჟები, ცოცხალია და ჰარმონიულად მდიდარი ინტონაციური სვლები.

ბრწყინვალედ შეასრულა სოლისტმა მესამე ნაწილი — რთული რიტმული და ჰარმონიული ფაქტურა, თავისებური, პროკოფიევისათვის დამახასიათებელი მელოდიკა. პიანისტური თვალსაზრისით რთული ტექნიკური ადგილები იმდენად იოლად აღიქმება ლექსო თორაძის ვირტუოზული შესრულების გამო, რომ მსმენელი ვერ ამჩნევს ამ სირთულეებს.

კონცერტის ფინალი ჟღერს ძალზე ლამაზად, მასშტაბურად. ეპიკური ხასიათის ძლიერი აკორდები ბრწყინვალედ აგვირგვინებს ნაწარმოებს, შეიძლება ითქვას, რომ ის ერთ ამოსუნთქვაზე მთავრდება.

ხაზგასმით უნდა ითქვას შესანიშნავ ანსამბლურობაზე ორკესტრთან, — რაც ჯანსუღ კახიძის დიდი დამსახურებაა.

გაზაფხულზე (აპრილ-მაისი) ლექსო კვლავ აპირებს ჩამოსვლას მამის, დავით თორაძის იუბილესთან დაკავშირებით. მუსიკის მოყვარულებს კვლავ ელით მომაჯადოებელი საღამოები.

**მადლენა ლეჟავა,**
მუსიკისმცოდნე.

**გონდო დადვაძის ფოტო.**
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# თავისუფალ ფერმერთა აგრარულ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე (დღისა და საღამოს დასწრებული სწავლების განყოფილება):

1. **აგრონომია.**
2. **ვეტერინარია.**
3. **კვების პროდუქტების წარმოება-გადამუშავების ტექნოლოგია.**
4. **მევენახეობა.**
5. **ისტორია.**
6. **ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა).**

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო, საშუალო სპეციალური და 35 წლის ასაკამდე უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქენი.

დღის და საღამოს განყოფილებაზე გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1. აგრონომიის, ვეტერინარიის, კვების პროდუქტების წარმოება-გადამუშავების ტექნოლოგიისა და მევენახეობის სპეციალობებზე: ა) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ბ) ბიოლოგია (ზეპირი).

2. ისტორიის და ფილოლოგიის სპეციალობებზე: ა) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ბ) საქართველოს ისტორია (ზეპირი).

გამოცდების დროს აბიტურიენტთა შეფასება მოხდება ათქულიანი სისტემით.

თანაბარ ქულათა დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიეცემათ:

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დემობილიზებულთ, პირველ საგამოცდო საგანში შედარებით მაღალი შეფასების მქონე აბიტურიენტებს, ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის მქონე აბიტურიენტებს, იმ აბიტურიენტებს, რომელთაც საშუალო განათლების დოკუმენტში უფრო მაღალი ჯამური ქულა აქვთ იმ საგნებში, რომლებსაც აბარებენ მოცემულ სპეციალობაზე.

სწავლების ვადა 5 წელია. ინსტიტუტში ლექციების წასაკითხად მოწვეული არიან თბილისის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები შემდგომი დასპეციალებისათვის გაიგზავნებიან თბილისის და საზღვარგარეთის სხვადასხვა სასწავლო ცენტრებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

სტუდენტები შეისწავლიან 1 ან 2 უცხო ენას, მარკეტინგს, ინფორმატიკას და საერთო ბიზნესის საფუძვლებს.

ინსტიტუტში სწავლება ფასიანია. სწავლის საფასური ყოველწლიურად შეადგენს 5000 მანეთს.

ინსტიტუტში შემსვლელმა აბიტურიენტებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ:

1. საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების მოწმობა (დედანი); 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086); 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან; 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 5. 6 ფოტოსურათი (ზომით 3X4).

პასპორტსა და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

მისაღებ კონკურსში მონაწილეობისათვის გადასახადი 80 მანეთია.

საბუთები მიიღება 19 ნოემბრამდე (ჩათვლით), ყოველდღე (გარდა კვირისა), 10 საათიდან 17 საათამდე. მისაღები გამოცდები დაიწყება 20 ნოემბრიდან.

**მისამართი:** სიღნაღის რაიონი, ქ. წნორის ზოოვეტტექნიკუმის შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 32, ტელ. 3-31-31, 3-49-95.

სპორტი

# საჭიროა თუ არა ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში?..

**ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ** მინდა მკითხველი დავამშვიდო, და თვითონვე ვუპასუხო დასმულ კითხვას, — დიახ, საჭიროა. მაგრამ, როგორი — ჩვენ რომ ვატარებთ, ასეთი? როცა ლამის ყოველ მეორე თამაში ცემა-ტყეპით მთავრდება, როცა საფეხბურთო მეურნეობა (იშვიათი გამონაკლისის გარდა), რბილად რომ ვთქვათ, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და როცა საქართველოს ფეხბურთის მესვეურებს ნაკლებ აღელვებთ ეს, და კიდევ სხვა მრავალი. ცხადია, როცა ქართული ფეხბურთის ენთუზიასტები, პატრიოტები, ეროვნულ ჩემპიონატს აარსებდნენ, სულ სხვა მიზნები ჰქონდათ. მაშ რა ხდება, როდემდე უნდა გაგრძელდეს უმსგავსოება ჩვენს სტადიონებზე?

ვიცი, ამ წერილის შემდეგ უამრავი ოპონენტები გამოჩნდება, მაგრამ იმას, რაც, მაგალითად, უკანასკნელი ტურის მატჩის დროს ზესტაფონში ვნახეთ, არავითარი გამართლება არა აქვს.

ამ სტრიქონების ავტორს უმაღლესი ჯგუფის მოასპარეზე გუნდების ბევრ ხელმძღვანელთან ჰქონია საუბარი და, თითქმის ყველა, გულისტკივილით აღნიშნავდა მართლაცდა ვანდალური და „სასწაული“ ფაქტების გამო.. ვთქვათ სიმართლე, რამდენი ქალაქია თუ რაიონი, სადაც სტუმართა გუნდი თამაშს ვერ მოიგებს? დიახ, ვერ მოიგებს, მორჩა და გათავდა. „ახალგაზრდა ივერიელი“ წინა ორი ჩემპიონატის გაშუქებისას ყოველთვის ცდილობდა ობიექტურად წარმოეჩინა ქართული ფეხბურთის დღევანდელი სახე. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, საჭირო რეაგირება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა მხრიდან არ ყოფილა. პასუხად ერთი გვესმოდა მხოლოდ, ქართული ფეხბურთის დონე მაღლდებაო. უკვე ისე მოეჩვია გულშემატკივარი მსაჯების ცემა-ტყეპას, რომ ის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. განუკითხაობამ უკვე კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ყველა სცოდავს — ფეხბურთელებიც, გუნდების ხელმძღვანელობაც, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც, და, რაღა თქმა უნდა, მსაჯებიც, რომელთა მიერ დაშვებული შეცდომებით გაღიზიანებული ქართველი გულშემატკივარი არბევს და ანადგურებს ზოგჯერ მის მიერვე აშენებულ სტადიონს, ივიწყებს სტუმარ-მასპინძლობის ელემენტარულ წესს და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს მსაჯსაც და მოწინააღმდეგე გუნდის წევრებსაც.

რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს ზესტაფონელ გულშემატკივართა ერთი ნაწილის მართლაცდა ვანდალურ საქციელს, რომლებმაც „შავი“ დღე აყარეს მსაჯს ლევან ჩიტაიას და რომ არა მილიციის მუშაკთა და საღად მოაზროვნე გულშემატკივართა ნაწილის ვაჟკაცური საქციელი, შესაძლოა მსხვერპლიც ყოფილიყო. იმის უშუალო თვითმხილველი ვარ, თუ როგორ დაესხა თავს ერთ კაცს 50-60 კაცი და უმოწყალოდ სცემა მსაჯი. ამ დროს, ცხადია, ძნელია წინასწარ განჭვრიტო შედეგი...

ზესტაფონში რომ ფეხბურთი უყვართ, ამაზე, ალბათ, არც ღირს საუბარი. შესანიშნავი სტადიონი, ასევე კეთილმოწყობილი გასახდელები და მინდორი, საკმაოდ პერსპექტიული და საინტერესო გუნდი თავისი შესანიშნავი მწვრთნელით ბატონი ჯონი ჯანელიძის თავკაცობით. არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნო „მარგვეთის“ პრეზიდენტი, ბატონი თამაზ შარაშენიძე თავისი პროფესიონალური მიდგომით საყვარელი საქმისადმი. „მარგვეთი“, როგორც აღვნიშნე, ერთობ პერსპექტიული გუნდია და მეორე ჩემპიონატში, როდესაც ისინი დებიუტანტის როლში მოგვევლინნენ, არცთუ ურიგო შედეგი აჩვენეს. მესამე ჩემპიონატის წინ გუნდმა საკმაოდ სოლიდური შევსება მიიღო ივანე ჯუღელის, მამუკა მაჭავარიანის, თემურ ფაიქიძისა და იოსებ ნასუაშვილის სახით და ამ სტრიქონების ავტორი „მარგვეთისგან“ უფრო მეტს მოელოდა. რა თქმა უნდა, იყო ხელისშემშლელი მიზეზებიც, მაგალითად, წამყვანი ფეხბურთელების — როინ კურძევაძის და ნოდარ კიკნაძის ტრავმები, ასევე გუნდის ერთ-ერთი ლიდერის — ოდისეი ავრამიდისის არყოფნა, რომელიც საბერძნეთში წავიდა საცხოვრებლად, მაგრამ როგორც ადგილობრივ გულშემატკივრებმა და კლუბის ხელმძღვანელებმა ჩვენთან საუბარში განაცხადეს, ისინი ისევ და ისევ მსაჯების მიერ იყვნენ დაჩაგრული. დაგვერწმუნებით, ეს მარადიული თემაა და ერთობ საკამათოც, რადგან თითქმის ყოველი გუნდი თვლის, რომ მსაჯი მეტოქის სასარგებლოდ ცდება. არ არის გამორიცხული, რომ ხშირ შემთხვევაში ანგარებასა და სხვა მანკიერ გამოვლინებებს აქვს ადგილი. ამაში კი ერთდროულად სცოდავს ორივე მხარე — ადგილობრივი კლუბის ხელმძღვანელობაც და მსაჯებიც.

ზესტაფონში მომხდარი ინციდენტის მთავარი მიზეზი მატჩის მიწურულს შექმნილი მომენტი გახლდათ. „მარგვეთის“ ფეხბურთელებმა მიიჩნიეს, რომ „გორდას“ ერთ-ერთმა წევრმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და პენალტი მოითხოვეს... თუმცა მთავარი მსაჯი სხვა აზრზე იყო. იგივე დაადასტურა მატჩის კომისარმა ბატონმა კარლო ყრუაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პენალტი არ ყოფილაო. დავუშვათ, იყო პენალტი — ჰქონდა კი გულშემატკივრებს იმის უფლება, რაზეც ზემოთ ვისაუბრე? ისე, მთლიანობაში ზესტაფონელმა გულშემატკივრებმა ერთობ გაორებული შთაბეჭდილება დატოვა — იმ ხულიგნურ საქციელს სტუმართა გუნდის ოვაციებით გაცილება მოჰყვა...

რაც შეეხება თვითონ შეხვედრას, უნდა აღინიშნოს, რომ სანახაობრივად ერთობ ლამაზი გამოდგა. თავდაპირველად „მარგვეთი“ სრულ უპირატესობას ფლობდა და ივანე ჯუღელმა პირველ ტაიმში ორი ბურთის გატანაც მოახერხა. ეს სახიფათო ფორვარდი საკმაოდ ბევრს აქტიურობდა და მთელი მატჩის განმავლობაში კიდევ მრავალჯერ ჰქონდა თავის გამოჩენის საშუალება, მაგრამ მოწოდების სიმაღლეზე იყო „გორდას“ მეკარე მამუკა ქორიძე, რომელმაც უშეცდომოდ ითამაშა როგორც კარის ხაზზე, ასევე გამოსვლებზეც. თემურ ფაიქიძეს, იოსებ ნასუაშვილისა და ზაზა ინიაშვილის სახიფათო შეტევებს რუსთაველები მწვავე კონტრიერიშებით პასუხობდნენ. ორ შემთხვევაში კი უკვე „მარგვეთის“ კარის დარაჯმა აკაკი დევაძემ დაადასტურა თავისი ოსტატობა — ჯერ გია კილასონიას, შემდეგ კი ვასილ მიქაშავიძის დარტყმების შემდეგ.

მეორე ტაიმში „გორდა“ უკვე მთელი გუნდით გადავიდა შეტევაზე და ცენტრალური ნახევარმცველების როსტომ თორლაშვილისა და გია კილასონიას მცდელობით მოედნის სრული ბატონპატრონი გახდა. აქვე, ერთობ დროული და, რაც მთავარია ,ეფექტიანი აღმოჩნდა „გორდას“ გუნდში მომხდარი ცვლილებები. ორივე მათგანმა ზაზა ბაკურაძემ და კახა ალადაშვილმა მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანეს თამაშში და ორივე საპასუხო გოლში ლომის წილი უდევთ. ჯერ თორლაშვილი-ბაკურაძის კომბინაცია ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა ტარიელ კაპანაძემ, შემდეგ კი 16 წლის კახა ალადაშვილმა მშვენიერი პასით გაიყვანა გარღვევაზე რუსთაველთა საუკეთესო ბომბარდირი გია კილასონია და ამ უკანასკნელმა, თავის სტილში, ჩვეული გოლი გაიტანა. ამის შემდეგ კი, მიუხედავად მცირე დროისა, ორივე გუნდს არაერთხელ ჰქონდა დაწინაურების საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. 88-ე წუთზე კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კულმინაციური მომენტიც დადგა. არ ვიცი, მსაჯმა ოქმში რა შეიტანა (ან კი ექნებოდა წერის თავი), მაგრამ, ფაქტია, ქართული ფეხბურთი მუშტი-კრივით წინ ვერ წავა. საქმეს ვერ შველის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თითქოსდა გამკაცრებული სასჯელები, მინდვრების შემოღობვა. მაშ, რა ვქნათ?

კიდევ ერთხელ უნდა შევიკრიბოთ ყველა — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, მსაჯები, მწვრთნელები, ფეხბურთელები, ჟურნალისტები, სპეციალისტები და, რაც მთავარია, გულშემატკივრები და ამ კითხვაზე პასუხი გავცეთ. ქართული ფეხბურთი ყველამ უნდა გადავარჩინოთ...

**წერილის დამთავრება მთლად პესიმისტურ ტონზე მხოლოდ იმიტომ არ მინდა, რომ თვალწინ მიდგას ერთი კვირის წინ გამართული მატჩი რუსთავში, სადაც ადგილობრივი „გორდა“ თბილისის „იბერიას“ ხვდებოდა. მატჩმა, რომელიც, ჩემის აზრით, ეროვნული ჩემპიონატის მშვენება იყო, გამიმტკიცა რწმენა, რომ საქართველოში ფეხბურთის თამაში არ დავიწყნიათ და ტალანტებიც მრავლად გვყავს „გორდაშიც“, „იბერიაშიც“, „ცხუმშიც“, „გურიაშიც“, „ოდიშიც“ და ყველგან, ოღონდ ნუ შევაძულებთ ფეხბურთელებს საყვარელ საქმეს და გულშემატკივრებს კი საყვარელ ფეხბურთს.**

**გია ტუხაშვილი**

სპორტი

# ალორძინება არგო

ჟურნალ ხელნაწერები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფირმა „ტს“ ფირმა „ტს“ ფირმა „ტს“

## პირველად საქართველოში ფირმა

გიწვევთ სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულებს და არა მარტო მათ ორკვირიან მიმზიდველ მოგზაურობაში. ჩეხეთ-სლოვაკეთის საქვეყნოდ ცნობილი კურორტი ბუბლავა 14 დღის განმავლობაში 4.XII—19.XII თქვენს განკარგულებაში იქნება. მოგეცემათ შესაძლებლობა გაეცნოთ ქალაქებს პრაღა, კარლოვი ვარი, მარიანსკე ლაზნე, ეწვიოთ კაბარეს ეროტიული წარმოდგენებით, ლუდის ქარხანას და შეიძინოთ საქონელი ხელმისაწვდომ ფასებში.

კურორტზე შესაძლებლობა გექნებათ დაისვენოთ საუნაში, ამერიკულ დანსინგ-კლუბში, ლუდის ბარებსა და რესტორნებში. აგრეთვე ეწვევით გერმანიის ქალაქებს ვეიდენს და ნიურბერგს.

სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულებს ვაცნობებთ, რომ შეგიძლიათ გაქირავებაში აიღოთ ყველა მარკის თხილამურები, ჯოხები, ფეხსაცმელები, სნოუბორდები, სნოუტიუბები. თქვენს განკარგულებაშია საბაგირო გზები ღამის განათებით და ტრასები ყველა დონის მოთხილამურეთათვის. იჩქარეთ! თქვენ პირველად გეძლევათ შესაძლებლობა თავი გამოსცადოთ ევროპულ ტრასებზე და დაუვიწყარი 2 კვირა გაატაროთ დეკემბრის თვეში.

## და ახლა კი ინფორმაცია
## მონტე-კარლო-პარიზი-ნიცას შესახებ:

გინდათ მოინახულოთ მონტე-კარლოს სახელგანთქმული კაზინოები? დაათვალიეროთ ევროპის მარგალიტი პარიზი? დაისვენოთ სახელგანთქმულ საკურორტო ქალაქ ნიცაში და გაისეირნოთ ბიარიცის სანაპიროზე?

ამ მოგზაურობას 7.I—14.I გთავაზობთ საბჭოთა მანეთებზე. მგზავრობის ღირებულებაში შედის 100$ გადახურდავება.

**იჩქარეთ! გელოდებით დღეიდანვე! ყოველი წუთის დაფიქრებამ შეიძლება საგზურის გარეშე დაგტოვოთ!**

**ჩვენი მისამართია: ბუდაპეშტის 1, ტელ: 37-58-25.**

ფირმა

ფირმა „ტს“ ფირმა „ტს“ ფირმა „ტს“

### ფირმა „ზევსი“ გთავაზობთ:

მხოლოდ მათთვის, ვისაც საკუთარი სიამოვნებისათვის ქაღალდად ქცეული საბჭოთა მანეთები არ ენანება, ფირმა „ზევსი“ აწყობს უაღრესად პრესტიჟულ კრუიზს გერმანიაში, ნორვეგიული წარმოების თბომავლით „ანა კარენინა“ — მარშრუტით: **ლენინგრადი—კილი—ლენინგრადი.** კრუიზის ხანგრძლივობა 7 დღეა. ამას ემატება ორი დღის განმავლობაში ლენინგრადში მაღალი კლასის სასტუმროში ცხოვრება. ორადგილიან კაიუტაში ერთი საგზურის მინიმალური ფასი 8532 მანეთია. ამ ფასში გათვალისწინებულია ტურისტთა ყველა ხარჯები თბილისიდან თბილისამდე. მანქანების ყიდვის შემთხვევაში ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ მათი გემზე დადებისა. ჯგუფები კომპლექტდება მხოლოდ 15 ნოემბრისთვის.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მოგვმართონ მისამართზე: თბილისი, შანიძის (ყოფილი კალანდაძის) ქ.№3 (სასტუმრო „საქართველოსთან“) მიღების საათები: 11-დან 18 სთ-მდე. დასვენების დღე კვირა. ტელ.: 23-15-58.

### იჩქარეთ!

გაიხსნა კიდევ ერთი ჯანმრთელობის კერა:

ექსპრეს დიაგნოსტიკა ბიოლოკაციით, უზუსტესი წერტილოვანი მასაჟი, მკურნალობა სასიცოცხლო ენერგიით: ნევროზი, რადიკულიტი, ქალური დაავადებები, სმენისა და მხედველობის დაქვეითება და სხვა.

მისამართი: ჩუბინიშვილის 38, სამედიცინო ცენტრი „ჰარმონია“ ტ.: 95-48-52 მიღება 10-15 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

ნათელა ბულბულაშვილი.

### სამედიცინო გინეკოლოგიურ-მა ფირმა „ჰიპოკრატემ“

განაახლა ავადმყოფთა მიღება ა/წ 4 ნოემბრიდან

მისამართი: პეტრიაშვილის ქ.№44

ტელ.: 29-45-26

მიღება იწარმოებს 16-დან 19 საათამდე

### ყურადღება ჩინეთი!

გიწვევთ უძველესი ცივილიზაციის და აღმოსავლეთის ბაზრის ნახვის მსურველთ! ჩინური კერძების ნამდვილ დამფასებელთ!

იჩქარეთ! ტურისტულ ჯგუფში მხოლოდ 20 ადგილია.

მოგვმართეთ მისამართზე: თბილისი, ანაგის ქ.№7 შრომის სასახლე, XXI სართული, ფირმა „იმედი“

ტელ.: 38-94-69

მრავალდარგოვან მცირე საწარმო „ლავანდას“ ესაჭიროება კვალიფიციური მკერავ-მოტორისტები. ანაზღაურება მაღალია.

მისამართი: საბურთალოს რაიონი, ზემო ვეძისის ქ.№8, Iსართული. ამოსასვლელი გაგარინის მოედნიდან მგალობლიშვილის ქუჩით.



ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი **მერაბ ბალარჯიშვილი**

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.